

# მოკუაროთ საქართველოს!

## საქართველო



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბინდ ბუქ-  
უდნი სიფყაას, ფყუილებით და ჭბბებით ბუბ-  
თის გაფანა ყუელა უუარბისბბბაგუ უხაბაგლესია.

გამოქვეყნდა 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რეპრეზენტა


ორშაბათი-ოთხშაბათი, 5 ივნისი. 2023 წ. №64-65 (9596-9597) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი



ნ. 3 გვ.

### ნუნუნის ნილვარს პრეზიდენტის ენის დამოკლება მოკუვა!

#### ნებამ, რას იტყვის მემქნე პრეზიდენტი მხუთეზე?



8

### ნაშრომი განხად დაშთების...

მნიშვნელოვანი  
მოვლანა  
ქართულ  
ისტორიოგრაფიაში

### ზელენსკი ერთიანი ნაცხროვის კიევის ფილიალის თავმჯდომარეა?!



ნ. 4 გვ.

საქართველოსთან დაკავშირებით მას  
როგორც რიგით აბენტს, ისე იყენებენ...



### გულითაღი მილოსავა რეჟიმ თაივ პრემიერს

„თურქეთის რესპუბლიკის  
პრემიერდენტ რეჟიმ თაივ ერდო-  
ლანს ვულოცავ და გულითადად  
ვუსურვებ მშვიდობიან, სტაბილურ  
და წარმატებულ საპრეზიდენტო  
ვადას ჩვენი მეგობრული ერის ლი-  
დერის რანგში.“

მისი ძლიერი ლიდერობის ქვეშ  
მოუთმენლად ველი, რომ საქარ-  
თველოსა და თურქეთის რესპუბ-  
ლიკას შორის არსებული სტრატე-  
გიული პარტნიორობა კიდევ უფ-  
რო გაძლიერდება!

ირაკლი ღარიბაშვილი

ვატო შაქარიშვილი:  
12 ივნისს რუსთაველის  
თეატრში შეიკრიბება  
საზოგადოებო,  
პინჩებო  
ორგანიზებული  
კალის შექმნას,  
ეს იქნება  
კონსერვატიული  
გაერთიანება -  
„საქართველო  
უპირველეს ყოვლისა“

### გადაარჩინეთ 105 წლის „საქართველო რესპუბლიკა“

ხელმოწერისთვის მიმართეთ:

შპს ელვა ჯი“ შპს „პლანეტა ფორტა“  
595382626; 579 799908;  
2382673; 2382674 599 947311

დახმარების მსურველები დაგვიკავშირდით:

თბილისი, ქავჭავაძის პროსპექტი №17-ე.  
საქართველოს ჟურნალისტთა  
შემოქმედებითი კავშირის ოფისი,  
ტელ: 599 360035; 577 772717

ნებისმიერი საძველმოქმედო (დახმარების)  
თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ:

შპს „100-ახალი საქართველოს რესპუბლიკა“,  
გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ გამომცემელი  
ანგარიშის ნომერი: GE90BG0000000538329790



მატო შაქაროვი: 12 ივნისს რუსთაველის თეატრში უპირობო საზოგადოებრივ, პინგ-პონგ ორბანიზებული კალის შექმნას, მს იქნება კონსერვატიული გაპრტიანება „საქართველო უპირველეს ყოვლისა“

ქართული არ არის რუსული; თეთრი არ არის შავი; მსხვერპლი არ არის მოქალაქე!

12 ივნისს რუსთაველის თეატრში უპირობო საზოგადოებრივ და დავიდოვან ორბანიზებული კალის შექმნას, რომელიც ამ ყველაფერს, რასაც ქართული საზოგადოება წინააღმდეგობას აუწევს, ქვეშ და უფრო ნინააღმდეგობას გაუწევს. მს იქნება კონსერვატიული გაპრტიანება, კავშირი „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, - ამის შესახებ კონსერვატიული პორტალის „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ დამფუძნებელი, ვატო შაქაროვი განაცხადა.

მისი თქმით, ეს იქნება ფართო საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც გაერთიანებული იქნება კონკრეტულ ღირებულებათა სისტემის გარშემო და, უპირველესად, იმ გამოწვევების, იმ დესტრუქციის, ამ ქვეყნის არევის გამოდგომის მცდელობების წინააღმდეგ. ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნის იდეა უფრო საჭიროებით არის ნაკარნახევი, ვიდრე რაიმე პოლიტიკური ამოცანებით.

„შეუძლებელია ამ ყველაფრის ყურება, რასაც წლებია, ქართული საზოგადოება თვალს ადევნებს. ეს არის ამ ქვეყნის გამოდგომის რეცეპტი, რეკონსტრუქციის სცენარების თავს მისვლა, დესტრუქციული მოქმედებები, ლიბერალური დიქტატის დამყარების მცდელობა. ყველა წითელი ხაზი რეალურად გადაკვეთილია, აქ უკვე პოლიტიკაზე აღარ არის საქმე, წილი ნაყარია და ქართული საზოგადოება ამას მშვიდად და უმოქმედოდ ვეღარ უყურებს. შესაბამისად, 12 ივნისს რუსთაველის თეატრში, შესანიშნავ ისტორიულ დარბაზში შეიკრიბება საზოგადოება და დაიწყებს ისეთი ორგანიზებული ძალის შექმნას, რომელიც ამ ყველაფერს ქმედით და ეფექტურად წინააღმდეგობას გაუწევს. ეს იქნება კონსერვატიული გაერთიანება, კავშირი „საქართველო უპირველეს ყოვლისა“. ეს არ იქნება ერთი რომელიმე კონკრეტული პირის ან ჯგუფის მოძრაობა, ეს იქნება ფართო საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც გაერთიანებული იქნება კონკრეტული ღირებულებების სისტემის გარშემო და, უპირველეს ყოვლისა, იმ გამოწვევების, იმ დესტრუქციის, ამ ქვეყნის არევის გამოდგომის მცდელობების წინააღმდეგ, რასაც თვალს ადევნებთ. ყველა იზრალეგს და გარედანაც ამის „ლეგიტიმაციას“ ახდენენ და არქმევენ, ეს ლიდერია, ეს სამოქალაქო საზოგადოება და ა.შ.“

განაცხადა ვატო შაქაროვი.

რაც შეეხება იმას, ვინ იქნებიან ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის სახეები, ვატო შაქაროვის თქმით, ამას ენახავთ 12 ივნისს, რუსთაველის თეატრში, საღამოს 20:00 საათზე.

„ეს იქნება მხოლოდ საინიციატივო ჯგუფის წარდგენა. ეს არ იქნება დახურული ტიპის ორგანიზაცია.“

ცია, ეს იქნება წმინდად საზოგადოებრივი მოძრაობა, სადაც ჩვენ მხოლოდ ამ იდეას ვადავლებთ, გავხსნივთ კარს და შემდგომში შემოგვიერთდება, დარწმუნებული ვარ, უამრავი ადამიანი. ეს იქნება ღია ღონისძიება, დასწრება თავისუფალია. ველოდებით იმ ადამიანებს, ვინც გულწრფელად დადებითად იმ ყველაფრის ყურებით, რასაც ჩვენ თვალს ადევნებთ, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც ამ ყველაფერმა ახალი მასშტაბი შეიძინა, ახალ ფაზაში გადავიდა, როდესაც გასული წლის 24 თებერვალს დაიწყო ომი უკრაინაში და საქართველომ მკაფიო უარი თქვა სხვისი ინტერესების გამო საკუთარი თავის განადგურებაზე, აირჩია მშვიდობის გზა და დაიწყო საკუთარი სუვერენიტეტისა და ქართველი ხალხის ინტერესების დაცვა. ამის შემდეგ წამოვიდა ის „შუალი“, რაც მოდის ქვეყნის გარედან, და ქვეყნის შიგნიდან ამას ჰყავს უამრავი აღმსრულებელი. რეალურად, ჩვენ ამას უნდა დავუბრუნებოთ ქმედითი ორგანიზებული ძალა“, - განაცხადა ვატო შაქაროვი.

მისივე თქმით, ყველამ უნდა იცოდეს, რომ დღეს საქართველოს ყველაზე მეტად სჭირდება მშვიდობა, იმიტომ, რომ განვითარების გასაღები მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობაშია.

„ჩვენ დღეს ამის უნიკალური შანსი გვაქვს, რომ მყარად დავდგეთ ფეხზე. ვხედავთ, რომ ცდილობენ დაგვსაჯონ იმის გამო, რომ ავირჩიეთ მშვიდობა და ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვა. მაშინ, როცა ჩვენ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, შონს რომ აღარ წავიდეთ, გვიტანჯავდა და გვიგლია სხვისი დღის წესრიგი, მაგრამ რა მოგვიტანა ამ სხვისმა დღის წესრიგმა, ვნახეთ - დაკარგული ტერიტორიები, უკან დახეული ქვეყანა, დაკარგული სიცოცხლე, დაკარგული დრო, შესაბამისად, ჩვენ ვიდეგ ერთხელ ვიტყვიოთ მკაფიოდ, რომ აღარ ვაპირებთ სხვისი დღის წესრიგით მოქმედებას, ჩვენ გვქნება ქართული დღის წესრიგი, ეს არ არის არც რუსული დღის წესრიგი, არც ამერიკული დღის წესრიგი - ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ ქართული დღის წესრიგი. ლიბერალური დიქტატი ასე მოქმედებს - ქართული არის რუსული, თეთრი არის შავი, ამერიკული კანონი არის რუსული, მსხვერპლი არის მოძალადე და ა.შ. სწორედ ამის წინააღმდეგ იქნება ეს მოძრაობა. ჩვენ ყველა ქმედებას გავცემთ ადეკვატურ პასუხს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ შეურაცხყოფა, ზღინი, დღის გინება სოციალურ მედიაში, ფიზიკურად, ამ ქვეყნის მუდმივი რყევა იქნება პასუხისმგებელი და ეს პასუხი იქნება ადეკვატური“...



ვინ დაუდო ქვიშის ტომარა ჯო ბაილენს?! ამ ტომარაში სარხების ქვიშა ხომ არ ეყარა?!

...ბოლო ათი დღის მოვლენები ჩემთვის გახსნა Politico-ს ანალიტიკურმა მიმოხილვამ, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთდა მიმდინარე წლის დეკემბერში ევროკავშირის მოსალოდნელ ოფიციალურ განცხადებაზე: „E.U-ს გაფართოება დასრულდება ბალკანეთში“. არანაკლებად მნიშვნელოვანი იყო ამ ბოლო დეკადის შემდეგი მოვლენებიც. ერთდროულად გაუღერდა საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და რომის პაპის ფრანცისკოს იდენტური ვარაუდები: უკრაინაში ომის დაწყება შესაძლოა, ინსპირირებული იყო რუსეთისთვის NATO-ს აღმოსავლეთით არგაფართოების დაპირების დარღვევით.

თუ რომის პაპს ასცდა პატრიარქ კირილეს „ეპისკოპოსის“ სარჩული, ჩვენს პრემიერს „რუსული“ სარჩული რა თქმა უნდა არ ასცდებოდა. ასცდა ეს „იარაღი“ თავად ზელენსკის, რომელიც ჯერ კიდევ შარშან უარყოფდა უკრაინისთვის ჩრდილო-ატლანტიკურ პერსპექტივებს, ასცდა ეს იარაღი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრსა და ქვეყნის კანცლერსაც, რომლებიც უკრაინისადმი „ნატოკუპტიციზმში“ უფრო პატერნალისტური იყვნენ. ასცდა „რუსეთუმობაში“ დამრალემა დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრ მენ უოლესსაც.

ამასობაში თურქეთიდან ადგილობრივი ლიბერალების გოლება გვეხმის, მათ მანი აუგეს ჩვენმა სექტანტებმა. ამერიკაში უხილავი „ქვიშის (სახიფის?) ტომარაზე“ მერამდენედ ეცემა ძირს ქვეყნის მოქმედი პრემიერნტი, ხოლო მის ჩანაცვლებაზე ოფიციალურ განაცხადს აკეთებს რესპუბლიკელთა ერთ-ერთი ლიდერი მაიკ პენსი. საქართველოს მოქალაქე ფაიდი ასლის მოლოდინული პასუხი გასცა მოლოდინის პრემიერნტმა, რომელიც არ აპირებს დნუპრისპირეთის რუსეთისთვის ჩუქების სანაცვლოდ ევროკავშირში გაწევრიანებას. რა თქმა უნდა, ამჯერადაც CH-ს წვერი ქვეყნის პრემიერნტი ვერანაირად იქნებოდა „პუჩინის მონა“.

აღარ ჩამოვთვლი არანაკლებად მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც სულ რაღაც უკანასკნელ ათ დღეში მოხდა. ის ლიბერალური ტკივილი, რაც გამახსენდა, ისედაც საკმარისია იმისთვის, რომ კონკრეტულ აზროვნებაზე პრეტენზიის მქონე ჩვენს მოქალაქეებს, ძირითადად ახალგაზრდობას, მიეცეს შესაძლებლობა, საქართველოს ხელისუფლებაში რუსების უმედგო ძემნას თავი დაანებონ, მით უმეტეს, როდესაც ეს რუსები ყველაზე არიან ქართული საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის გარდა.

P. S. მე განზრახ არ შევიყვანე ამ მოვლენათა ჩამონათვალში ხორვატის პრემიერნტის მოწოდება საკუთარი მოქალაქეებისადმი, დაანებონ თავი ნაცისტური (ფაშისტური) სლოვანის „Слава Украине! Героям слава!“ გამოყენებას მის ქვეყანაში. მაინც ომია და ზედმეტი ტკივილის მიყენება არ მინდოდა...“

დავით ძარტველიშვილი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი - ომად გაიყიდა!

„ხალხის ძალის“ წევრი თამთა მებრალიშვილი ყოფილი პრემიერნტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გავრცელებულ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თქმითაც, „უნდა ვიმზადოთ აფხაზეთის და შიდა ქართლის გათავისუფლებისათვის - ვეზადოთ ფსოვზე ქართულ-უკრაინული საზღვრის მოსაწყობად“.

მეგრულიშვილის თქმით, მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი ომადვე გაყიდა, ომის დასრულებისას ქართველი მებრძოლების გვამები მიატოვა და რუსთაველზე საზეიმო მიღება მოაწყო. მისივე თქმით, ყოველივე ეს მიხეილ სააკაშვილის სინდისზე და ის არ უნდა საუბრობდეს დღეს ამ თემაზე.

...ავგისტოს ომი საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ტრაგიკული მოვლენაა. ამ ომს ასობით ჩვენი უდანაშაულო თანამემამულის სიცოცხლე შეეწირა. საქართველომ დაკარგა კონტროლი კიდევ უფრო მეტ ტერიტორიაზე და ჩვენი ქვეყნის 20%

დღემდე ოკუპირებულია. ომის ტრაგედიის შედეგებს დღემდე ვიძვით, მათ შორის, ბორღინიზაციასა და უკანონო გატაცებებს. რაციონალური, მშვიდობაზე ორიენტირებული პოლიტიკით, ხელისუფლებამ მინიმუმადე შეამცირა რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები, წარმატებით ხორციელდება არაღიარების პოლიტიკა, ხოლო საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო თანამეგობრობა მტკიცედ უჭერს მხარს. საქართველო რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში იმყოფება და ჩვენ განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, რათა უპასუხისმგებლო და დანაშაულებრივმა ნაბიჯებმა ჩვენს ქვეყანას უსაფრთხოების კუთხით დამატებითი რისკები არ შეუქმნას. მწამს, რომ აუცილებლად შევძლებთ ჩვენი ქვეყნის დოკუპაციას და ევროპულ ოჯახში ღირსეულ ადგილს ერთიანი საქართველო დაიმკვიდრებს, მანამდე კი, მოსალოდნელია ანტისახელმწიფოებრივი ძალა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ჰქვია.

ეს ძალა არის პოლიტიკური ტვირთი დღევანდელი ქართული სახელმწიფოსთვის. ეს ძალა არის მოლაღატეთა ერთობა, რომლებიც სისხლიანი ხელებით ეფარებიან პატრიოტიზმს და საკუთარ ქვეყანას ყველა გადამწყვეტ სიტუაციაში სწირავენ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი ომადვე გაყიდა მიხეილ სააკაშვილმა, ვადავასული იარაღი დაურია ომში მიმავალ პატრიოტ ზიჯებს, ომის დასრულებისას ქართველი მებრძოლების გვამები მიატოვა და რუსთაველზე საზეიმო მიღება მოაწყო (პატრიარქმა გადმოასვენა ჩვენი ზიჯების ცხედრები მაშინვე, კოდორი, სამაჩაბლო ქართველი ზიჯების სისხლს გაატანა - მიხეილ სააკაშვილი უნამუსო სინდისზეა ეს! მიხეილ სააკაშვილო, ვერ უნდა საუბრობდე დღეს შენ ამ თემაზე, ასე!!! მოლაღატე, დამნაშავე ხარ და კიდევ აქეთ ვერ უნდა გვიკითხავდე მორალს ქართული სახელმწიფოზე! შეიმედება ის, რომ უახლესი ისტორია იცნობს და იმასსოვრებს ამ ყველაფერს... შეიმედება, რომ დაიწერება შენზე ისტორიის სამარცხვინო გვერდზე!..“

თამთა მებრალიშვილი





# ზელენსკი ერთიანი ნაცხროვის კივიის ფილიალის თავმჯდომარეა?!

# საქართველოს დაპყრობით მას როგორც რიგით აბენტს, ისე იშვენებენ...

მოდრაობა“ თავის დროზე ვი შევბრძოლა რუსეთს, მაგრამ მერე მალევე პოზიციები დათმო და უკან დაიხია. სააკაშვილის მიერ გადაღებული ნაბიჯებში უკრაინის მხარე რუსეთის ინტერესებს ვერ ხედავს. არადა ომივეტების დიდი ნაწილი სააკაშვილმა ომის შემდეგ დაუთმო რუსეთს. სტრატეგიული ომივეტები მიმყიდა და რუსებს საქართველოში ჩამოსვლას ეხვეწებოდა. უკრაინის პოლიტიკურ ელიტაში ეს რიტორიკა უკვე დიდი ხანია დანერვილია, ამიტომ ვფიქრობ, ზელენსკის ახალი არაფერი უთქვამს. უმრავლეს შემთხვევაში და საქართველოს ხელისუფლების იმიჯის დაზიანებას ცდილობს”, – ამბობს საყვარელიძე.

„ხალხის ძალის“ წევრი და ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი ამბობს, რომ ვოლოდიმერ ზელენსკი მისთვის წელიწადზე მეტია ჩამოყალიბდა არა უკრაინის პრეზიდენტად, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ კიევის ფილიალის თავმჯდომარედ. ამიტომ ქართველიშვილი მიიჩნევს, რომ როდესაც ის საქართველოსთან დაკავშირებით ნებისმიერ განცხადებას აკეთებს, ის მისთვის ხაბიშვილი, მელია, გოცირიძე და კონკრეტული „ნაციონალური მოძრაობა“.

„სამწუხაროდ, ზელენსკი თავის ქართველ „თანაპარტიულებთან“ ერთად ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მაქსიმალური ზიანი მიადგინოს. ამიტომ მესმის პრემიერის პოზიცია, რომლისთვისაც ბატონი ზელენსკი ჩვენთვის კარგად ნაცხრო მხარეს წარმოადგენს. ეს მხარე ვი არ არის უკრაინა და ეს არის გლობალური ომის პარტის, გლობალური ფილიალის წარმომადგენელი. საქართველოსთან მიმართებაში მათ ერთი ინტერესი აქვთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივობას, სუვერენიტეტს, რაც შეიძლება მეტი ზიანი მიადგინონ. მათი მთავარი მიზანია, რომ საქართველოში ხელისუფლების ჩანაცვლება მოხდეს. ზელენსკი ხედავს, რომ საქართველოსთვის სტატუსის არმინიჭება მათ წისქვილზე ასხამს წყალს. ამიტომ ის გააკეთებს ყველაფერს, რათა საქართველოს სტატუსი არ მიანიჭონ. სხვა საკითხია, რამდენად ფასეულია ეს მისწრაფება თავად ევროკავშირისთვის. ამას უახლოესი მომავალი გვაჩვენებს და ეს ყველაფერი შემოდგომას აღარ გადასცდება. დავინახავთ, შევათუ არა ჩიხში ევროკავშირი, თუკი საქართველოსთან დაკავშირებით კიდევ ერთი უარი იქნება“, – ამბობს ქართველიშვილი.

მისივე თქმით, ზელენსკის კონკრეტულად აძლევს შესასრულებელ დავალებებს საქართველოს წინააღმდეგ. ის კი ამ დავალებებს ასრულებს. ის მითითებებს გლობალური ომის პარტისგან იღებს, თუნდაც სოროსის იმპერიის სტაფიდან. ზელენსკის საქართველოსთან მიმართებაში, როგორც რიგით აბენტს ისე იყენებენ. ანალიტიკოსი ამბობს, რომ შეუიარაღებელი თვალით ყველა ვარაუდს ხედავს, რომ ზელენსკის განცხადებები, უცხო ქვეყნის შიდა საქმეებში უხეში ჩარევაა.

ლიკა ბერიკაშვილი

უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმერ ზელენსკიმ მოლოდინში, ევროპული პოლიტიკური გაერთიანების (EPC) მიერ სამიტის გახსნაზე საქართველო და ზელენსკი ერთ კონტექსტში ახსენა, რამაც საქართველოს ხელისუფლების პროტესტი და კრიტიკული განცხადებები გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ღარიბაშვილმა მოლოდინში ყოფნის დროს, ზელენსკის განცხადებაზე კომენტარებისგან თავი შეიკავა, თბილისში უკრაინის პრეზიდენტის განცხადება არ გაკვირვებიათ. უფრო მეტიც, მმართველ გუნდში ეს ერთგვარ შურისძიებად შეფასდა და თქვეს, რომ ზელენსკის მიზანია, რეპუტაციული ზიანი მიადგინოს საქართველოს და შიდა ვითარება გამწვავდეს.

ზელენსკიმ განაცხადა: „მხედავთ, რა ხდება ზელენსკის, საქართველოში, როგორ მიატოვებენ სხვადასხვა გზით განუთხოვრებელს, მაგრამ რას ხედავენ ისინი? რომ უკრაინას არ გაუბია კონკრეტული პოზიტიური პასუხი განუთხოვრებელს“...

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უკრაინის პრეზიდენტის განცხადების შეფასებისას აღნიშნა, რომ ომში მყოფი ქვეყნის პრეზიდენტის განცხადებაზე კომენტარს არ გააკეთებს და არ მისცემს გარკვეული სპეკულირების საფუძველზე საქართველოს არაკეთილმოსურნე აღმანიშნებს.

ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილმა უკრაინის მშვიდობა და ომის მალე დასრულება უსურვა: „ეს პირველი შემთხვევა იყო, რომელსაც პრეზიდენტი ზელენსკი დაესწრო. მინდა გავიმეორო, რომ მე ძალიან განვიცდი იმას, რაც ხდება უკრაინაში, ათასობით ადამიანი იღუპება“

ყოველ დღე და ბევრჯერ, ქალები და მოხუცები ზარალდებიან ამ მრუტალური, სასტიკი ომით. მინდა ომში მყოფ ქვეყანას მშვიდობა, ამ ომის მალე დასრულება და ქვეყნის გამთლიანება ვუსურვო.

რაც შეეხება ზელენსკის განცხადებას, მე ამაზე კომენტარს ვერ ვაკეთებ, რადგანაც ეს ქვეყანა ომშია და მე არ მინდა, რომ გარკვეული სპეკულირების საფუძველზე მივცე სხვა, ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნე აღმანიშნებს. დავამატებდი იმას, რომ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ხშირად ზელენსკისა და მისი მთავრობის განცხადებები სრულ თანხვედრაში არის ჩვენი ქვეყნის შიგნით მოქმედ მტრულ ძალებთან – ვგულისხმობ დესტრუქციულ ოპოზიციას, რომელიც არაფერს არ აკეთებს თუნდაც ევროინტეგრაციის გზაზე რომ გაიმარჯვოს ჩვენმა ქვეყანამ და მიიღოს სტატუსი“.

პრემიერისგან განსხვავებით, თბილისში უფრო კრიტიკული განცხადებები გაკეთდა. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ვოლსკის შეფასებით, სამწუხაროა, რომ ვოლოდიმერ ზელენსკი განცხადებას ვერ ხედავს იმ ქვეყანას შორის, სადაც რუსეთმა ზირთული შეიარაღება განაღობა და ომისთვის ემზადება და იმ ქვეყანას შორის, რომელსაც გადაწყვეტილებები აქვს მიღებული რუსეთის შიდა ტრიბუნალისთვის გადაცემის თაობაზე და საერთაშორისო ფორუმებიდან რუსეთის გაყვანაზე. ზელენსკი ასეთი შინაარსის განცხადებას პირველად არ აკეთებს... „ქართული ოცნების“ წევრი, ირაკლი ქადაგიშვილი ზელენსკის განცხადებებს შემდეგნაირად გამოეხმაურა.


„განცხადება არის გამოხუცად გაკეთებული, ეს არის ერთგვარი შურისძიება, რომლის მიზანია, რეპუტაციული ზიანი მიადგინოს საქართველოს და გამხვავდეს შიდა მითარება, რომ საქართველო უსაკლამიის გზით ნაზიდს რუსეთთან ურთიერთობაში“.

მისი თქმით, ზელენსკის ჰქონდა მოლოდინი, რომ საქართველო საომარ მოქმედებებში იქნებოდა აქტიური, ხოლო როცა ვერ დაინახა, „დემარშები განახორციელა“.

ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ ვოლოდიმერ ზელენსკის განცხადება, ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან მას საქართველოს შესახებ ანალიტიკური განაცხადებები ადრევე გაუკეთებია. საყვარელიძე ამბობს, რომ უკრაინის ანტიქართულ განწყობებს უფრო შორეული წარსული აქვს, როდესაც ჯერ კიდევ პორტუგალი ხელისუფლებამ „ნაციონალური მოძრაობის“ ძეგლი ჯგუფი შეიფარა.

„ვოლოდიმერ ზელენსკის მხრიდან ასეთი განწყობა საქართველოს მისამართით ომამდეც იყო. გვახსოვს, ალბათ, ჯერ პორტუგალი და შემდეგ მის მიერ, ფრთხილად შეფარებული საქართველოს მიერ ძეგნილი ყოფილი მაღალჩინოსნები. უფრო მეტიც, ზოგიერთ მათგანს მაღალი თანამდებობაც ეკავა და ზელენსკის პოლიტიკურ დღის წესრიგსაც ვი უკვამავდა. დღესაც ეს პირები ზელენსკის ხელისუფლებაში არიან. შესაბამისად, მთელი უკრაინა „ოცნების“ ხელისუფლებას უტეგს. გამოდის, რომ უკრაინა საქართველოს შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებაშია ჩართული.“

ამ თემამ კი ომის პირობებში უფრო ახალი დატვირთვა შეიძინა და დაბატებით ნიუანსები ჰპოვა. ამ ყველაფერს ამატებენ იმას, რომ თითქოს საქართველო ხელს რუსეთს უწყობს და ეხმარება. მაშინ, როცა „ნაციონალური“



## „ომის გამამწვავებელი“ ოლაფ შოლცი

გერმანიის კანცლერს, ოლაფ შოლცს სიტყვით გამოსვლა მომხიბვლებმა შეაწყვეტინეს. შოლცი უკრაინისთვის დახმარების გაზრდაზე საუბრობდა, რა დროსაც აქციაზე 100-მდე აქტივისტი შეიკრიბა, რომლებიც უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას აპროტესტებდნენ. აქტივისტები შოლცს „მატყუარას“ და „ომის გამამწვავებელს“ უწოდებდნენ. პროტესტის მიუხედავად შოლცმა გამოსვლა განაგრძო და აღნიშნა, რომ „ომის გამამწვავებელი“ რუსეთის პრეზიდენტია. შოლცმა აღნიშნა, რომ რუსეთის მიერ წამოწყებული აგრესიული ომის დროს უკრაინის იარაღით მხარდაჭერის გარდა სხვა ალტერნატივას ვერ ხედავს.



## გიორგი ბამბახაშვილი: ყოველ აბაზრჯანი და შეურაცხყოფილი კაპანია მიღის პრაქტიკის წინააღმდეგ!

„ყოველ აბაზრჯანი და შეურაცხყოფილი კაპანია მიღის პრაქტიკის წინააღმდეგ. მეტწილად ავტორები ორთოდოქსი ნაცემი არიან. არც სხვები დიდად არ აპროტესტებენ, მაგრამ სექტის წვლილი არის დიდი. ამ უზნეო ხალხს აქვს პრეტენზია ევროპელობაზე და ცივილიზებული სამყაროს წევრობაზე. დამკვიდრებული უწონებენ, ჩანს“, – წერს გამახურლია.

# ხელები შორს დავით გაიაშვილისგან!

„პართულ ოპოზიციას და მათ სრუ, უბიფარ მადია-საშუალებებს უხელოვანი უპასუხოდ უპირისპირდებით, რომ ვითომ მაშა თუ იმ სახელმწიფოში ფრანგის დანიშნაზე გავლენას ვახდენ!



„პორტალი ეარვეისის“ საფრანგოს დირექტორი, თამაზ გაიაშვილი უპირისპირდებით მხარის მიერ მიხი დასაწესდომის შესახებ მადიაში გავრცელებულ ინფორმაციას ახეაღს:

„კიდევ ერთხელ მინდა, შეგახსენოთ, რომ „ჯორჯიან ეარვეისი“ ოცდაათი წელიწადია, რაც კეთილსინდისიერად და თავდადებით ემსახურება საქართველოს და ქართველ ხალხს. იშვიათად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ამ ხნის მანძილზე არ ესარგებლოს ავიაკომპანიის მომსახურებით. ეს საქართველოს ისტორიის რთული მონაკვეთი იყო. „ჯორჯიან ეარვეისი“ ქართველ ხალხთან ერთად მრავალი ჯიბ-ვარაში გამოიარა და ჩვენმა გმირმა ავიატორებმა შევნი რამ გააკეთეს სამომლოსთვის.

სამწუხაროდ, საქართველოში მოიძებნებიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც მხოლოდ იმას ფიქრობენ, თუ ვის რა ავინონ, ვის როგორ უდალატონ, ან როგორ „მოსვინ ჩირქი“ საკუთარ ქვეყანას და მთავრობას, როგორ შეურყიონ მას საერთაშორისო ავტორიტეტი. ამ მიმართულებით იმდენი გამოცდილება დაგვიგროვდა, რომ უკვე აღარც გვიკვირს და აღარც გვწყინს მათი საქციელი.

ერთი ისტორია მახსენდება. „სვისიერი“ როდესაც გაკოტრდა, მთელი შვეიცარია ტირიდა. ეს კადრები მსოფლიომ ნახა. საქართველოში კი იმის მომსწრენი ვახდით, თუ რა სიხარულის ყიფინა აქვთ გამართული იმის გამო, რომ ქართულ ეროვნულ ავიაკომპანიას ვილაყამ სანქცია დაადო და ეს ან გაკოტრდება ან პრობლემები შეექმნება. აფერუმ, ასეთ ადამიანებს! ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი რამ პოლიტიკური სპეკულაციის თემად არ უნდა აქციონ, რადგან ამით ვერაფერ ვერაზაიარ ქულას ვერ დაგროვებთ და ვერც ქართველი ხალხის სიყვარულს ვერ დაიმსახურებთ.

რაც შეეხება პირადად მე, დაახლოებით თხუთმეტი წელიწადია, აღარ ვარ „ჯორჯიან ეარვეისის“ არც დამფუძნებელი და არც გენერალური დირექტორი. მე საფრანგოს დირექტორის თანამდებობა მივატოვე და აქტიურად ვმუშაობ მფრინავების მომზადებისა და უსაფრთხო ფრენების უზრუნველყოფის მიმართულებით, რაც ჩვენი ავიაკომპანიის პრეზიდენტია. აქედან გამომდინარე, ქართველ ემისრებს შეცდომაში შეყვავთ უკრაინის მთავრობა, რომ ვითომ თამაზ გაიაშვილი გავლენას ახდენს ამა თუ იმ სახელმწიფოში ფრენების დანიშნა-არდანიშვნაზე. მსოფლიოში არცერთ ავიაკომპანიას (მათ შორის, არც „ჯორჯიან ეარვეისს“) არ შეუძლია, გასცეს ნებართვა ამა თუ იმ ქვეყანაში ფრენების დაწყების ან შეწყვეტის შესახებ, ეს საკითხი ორ ქვეყანას შორის სამთავრობო ხელშეკრულებით რეგულირდება. აქედან გამომდინარე, „ჯორჯიან ეარვეისი“ და მისი გენერალური დირექტორი, დავით გაიაშვილი ხელმძღვანელობენ იმ რეგულაციებით, რაც დაწესებულია საერთაშორისო წესებით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

ქართული ოპოზიცია და მათი რუპორი ცრუ, უტიფარი მედიასაშუალებები გაჰყვირიან, რომ ჩვენ რუსეთის ეკონომიკას ვეხმარებით. ავიაკომპანია, რომლის განკარგულებაში სულ ოთხი თვითმფრინავია, რუსეთის ეკონომიკაზე გავლენას ვერ მოახდენს. სხვა საქმეა ნატოს წევრი სახელმწიფო თურქეთის ავიახაზები, რომლის ავიაპარკი ხუთასზე მეტ თვითმფრინავს ითვლის და, რომელიც რუსეთში ყოველდღიურად ოცდაათ რეისზე მეტს ასრულებს. აგრეთვე, არაფრთის ქვეყნები, ამერიკა, სომხეთი, შუა აზიისა და, საერთოდ, აზიის სახელმწიფოები. ამაზე რატომდაც თვალეხს ხუჯავენ ისინი, ვინც ასე გააფრთხებით ემზადებიან ქართულ პატარა ავიაკომპანიას.

**ინფორმაციისთვის:** საფრანგოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განვაგრძე კიევის სამოქალაქო ავიაციის საინჟინრო ინსტიტუტში. შესაბამისად, ორი წელიწადის განმავლობაში ვცხოვრობდი უკრაინაში, შემდეგ კი გადავედი ლენინგრადის (დღევანდელი სანკტ-პეტერბურგი) სამოქალაქო ავიაციის აკადემიაში, რომელიც 1986 წელს დაფუძნდა. აქედან გამომდინარე, უკრაინაში უამრავი მეგობარი მყავს და კარგად ვიცნობ კეთილშობილებითა და სიმბრძნით გამოჩენულ უკრაინელ ხალხს.

„ჯორჯიან ეარვეისში“ დღესაც დასაქმებული არიან უკრაინიდან ლტოლვილები. დანწმუნებული ვარ, რომ უკრაინელები ვერასოდეს შეეგუებიან სიყალბეს. ერთადერთი, რაც მე შემიძლია, ისაა, რომ უკრაინელ ხალხს მშვიდობა და ერთიანობა ვუსურვო!

ოფიციალური თბილისი ამგომს, რომ ივნისის გოლოს ვეღა რეკომენდაცია შესრულეგული იქნება. ეს ყველაფერი კი, ხელისუფლებას აძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ როგორც ოქტომბერში, კომისიის დასკვნა იქნება პოზიტიური, ასევე დეკემბერში ეროპული საბჭო ერთხმად მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ საქართველოს მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი. ევროპის მაღალი დონის ლიდერები ხმა-მაღლა გამოხატავენ მათ მხარდაჭერას საქართველოს მიმართ, რაც დადებით ფონს ქმნის, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ნაწილში ბრუსელმა ისევ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღოს და საქართველომ ვერ მიიღოს კანდიდატის სტატუსი! ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, არგუმენტი მოისმინეს და გაიზარეს.

„საქართველოს სურვილი და მოტივაცია მოიტანს კონკრეტულ შედეგებს. ჩემი ერთ-ერთი მთავარი სათქმელი, რაც მე ჩამოვიტანე ჩვენი ევროპულ კოლეგებთან, იყო შემდეგი: თუ რეალურად ევროპას და ჩვენს ევროპელებს სურთ, რომ იხილონ მინიმუმამდე დაყვანილი, შემცირებული პოლარიზაცია, მე მათ ვუთხარი, რომ სტატუსის მონიჭება ავტომატურად შეამცირებს, დაიყვანს მინიმუმამდე ქვეყნის შიგნით არსებულ პოლარიზაციას. ეს ხარისხი ავტომატურად დაიწევს. მათ ეს არგუმენტი მოისმინეს და ვფიქრობ, გაიზარეს“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა ურნალიტებს მოლოდინში ვახეცხადა, თუ რომელიმე მთავრობამ ევროინტეგრაციის ან ნატოს გზაზე, რამე კონკრეტული ხელშეხახები გააკეთა, ეს არის „ქართული ოცნება“.

...რაც შეეხება ნატოს, ჩვენ არ შეგვიჩერებია ძალისხმევა. ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი მთავარი კონტრიბუტორი. ჩვენი ჯარები იყვნენ ავღანეთში, მანამდე ვერაყვით, ჩემი პრემიერობის დროს გავაგზავნეთ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ჩვენი ჯარი. ასე რომ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენი სურვილი, ჩვენი მოტივაცია მოიტანს კონკრეტულ შედეგებს და ჩვენ ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ მაქსიმუმი, რომ კიდევ უფრო მეტად დავახლოვოთ ჩვენი ქვეყანა ევროპასთან და ნატოსთან“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მკა ზოჭორიშვილი ამბობს, რომ ქართულმა მხარემ მოისმინა განცხადებები და მზაობა, რომ ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე მხარი დაუჭირონ.

„ზოგადად, უნდა ითქვას, რომ საქართველოს მხრიდან პოლიტიკური ნება ყველა დონეზე დაფიქსირებულია. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია უმაღლეს დონეზე ეს კონსენსუსია, რაც შედეგად და კარგად შესაძლებლობა იყო პრემიერ-მინისტრის ყოფნა მოლოდინში, ამ ფორმატში, სადაც ლიდერებთან ჰქონდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ჩვენ მოვისმინეთ ის განცხადებები, რაც კეთდება საქართველოსთან დაკავშირებით და მზაობა, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე მხარი დაუჭირონ“, – აღნიშნა მკა ზოჭორიშვილი.

# ირაკლი გოგავა: დასავლეთს საქართველოს ევროპული მოქალაქი მხოლოდ „პოლიტიკურად“ აინტეგრირებს!

**თუ რომელია  
ხელისუფლება  
რამე კონკრეტული  
ხელშეხახები გააკეთა  
ევროინტეგრაციის  
ან ნატოს გზაზე,  
ეს პართ ჩვენ!**



უმრავლესობის წევრის ირაკლი ჩიქოვანის შეფასებით, ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით, საქართველოს გაცილებით უკეთესი პროგრესი აქვს, ვიდრე ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს. თუმცა, რაც შეეხება გადაწყვეტილებას, დეპუტატი ამბობს, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება, რომელიც ევროკავშირისა და უნდა მიიღოს. მისი თქმით, ოპოზიცია, რომელიც თავად ევროპული რეკომენდაციების შესასრულებლად არაფერს აკეთებს, პროცესს მაღალი პოლარიზაციის მისაღწევად იყენებს.

„ჩვენი მეგრი პარტნიორი და კოლეგა, ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით, საქართველოს არსებით პროგრესს ხედავს. მეგრი პარტნიორი გამომხატავს, თუმცა მოვლენებს წინ არ უნდა გავსწროთ. საქართველოს ნამდვილად არაფერი ჰქონდა პრობლემაში მარშან, როცა კანდიდატი ქვეყნის სტატუსი ან მოგვცეს. საქართველო მთელი ათწლეულების მანძილზე იყო გამორჩეული ლიდერი ასოციაციის დღის წესრიგის შესრულების თვალსაზრისით“.

როგორი იქნება ბრუსელის საბოლოო ვერდიქტი, ამ ეტაპზე საზომი უჭირთ პოლიტიკოლოგებს. როგორც ირაკლი გოგავა აცხადებს, იმ კრიტერიუმებით, რომელიც წარმოდგენილი იყო ევროკავშირის მხრიდან აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მონაწილე ქვეყნებისადმი, საქართველო უკეთეს ლიდერია ყველა მიმართულებით ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილებაში. შესაბამისად, იგი თვლის, რომ კანდიდატის სტატუსს საქართველო ყველაზე მეტად იმსახურებს.

„კანდიდატის სტატუსის მიცემა-არმიცემა ევროკავშირმა გახდა პოლიტიკურ ინსტრუმენტად. ამდენად, ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში იყო გეწოლა და საქართველოს პირველმა პრემიერმა გააკეთეს განცხადება, რომ არის ზეწოლა საქართველოს ომში ჩართვის შესახებ, რასაც საქართველოს ხელისუფლება არ დაეთანხმა და ამიტომ, დასავლეთს უნდა ეს ხელისუფლება ჩამოაშოროს მართვის სადავეებს. შესაბამისად, დასავლეთში არსებობს მორიგი ფერა-

დი რეგულაციის გეგმა და თუ, გადაწყდება ფერადი რეგულაციის გზით წასვლა, ანუ სახელმწიფო გადატრიალების გზით წასვლა, მაშინ კანდიდატის სტატუსს არ მოგვეცემენ, რომ ამ, ვითომ ევროპულ მომავალზე უარის თქმა გახდეს საზამი ასეთი ტრადიციული დევიზებისთვის, როგორც უკრაინაში იყო მიიღანი, რომელიც, ერთი მხრივ, ასოციაციის შეთანხმებაზე ხელის მოწერა თითქოს ევროპას და რუსეთს შორის არჩევანი იყო. მაგრამ, საქართველოში ასეთი არჩევანი არ დგას, შესაბამისად, კანდიდატის სტატუსი განიხილება მხოლოდ როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი ევროკავშირის მხრიდან ხელისუფლებაზე ვეგვალენის მოხდენის მიზნით“, – აღნიშნა ირაკლი გოგავამ.

საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით პოზიტიური მოლოდინი აქვს ანალიტიკოსს გიო აბაშიძეს, თუმცა, ასევე, იგი სპეკტიკურადაა განწყობილი ევროპული სტრუქტურების ცალკეული აქტორების გამონათქვამებიდან გამომდინარე.

„არაერთხელ ითქვა ჩემი კოლეგებისგან, ასევე პოლიტიკოსებისგან, რომ სიმბოლოური კანდიდატის სტატუსის მონიჭება-არმიცემა არ ნიშნავს იმას, რომ თუ მოგვანიჭეს ევროკავშირში მიგვიღებენ მყისიერად და თუ არ მოგვანიჭეს დამთავრდება ჩვენი ურთიერთობა ევროკავშირთან. ეს არის მითები და ზღაპარი, რომელსაც ავრცელებს რადიკალური ოპოზიციური ფლანგი, რომ თითქოს ამ კანდიდატის სტატუსზე არის მომავალზე და მამატებითი ფინანსური სარგებელი და ა.შ. არა, ეს არის სიმბოლოური სტატუსი“, – აცხადებს აბაშიძე.

რაც შეეხება არმონიჭების საკითხს, როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, თუ ასე გადაწყვიტეს ბრუსელში, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს დასჯა არა იმიტომ, რომ პარამეტრები და რეკომენდაციები არ შეასრულა, არამედ ეს იქნება პოლიტიკური კონიუნქტურა და დადასტურება იმისა, რომ მათ სურთ საქართველოში კიდევ უფრო გაიზარდოს პოლარიზაცია.

თამაზ ძარჩავა



ლარს  
სელოვნურად  
აუფასურებენ?

# ლარის სახელის გატეხას, პროვინული ბანკის თავის გატეხა სჯობს!

გეორგი 3 კვირის განმავლობაში ლარი თითქმის 20 პუნქტით გაუფასურდა. ფუნდამენტური მიზეზები არ არსებობს გარდა ერთისა, ეროვნული ბანკი არანორმალური რაოდენობით დოლარს იღებს მრეწველური და კურსს ხელოვნურად აუფასურებს. მისი გადაწყვეტილების ახსნაც შეუძლებელია. ამასობაში კი ეროვნული ვალუტისადმი უნდობლობამ ისევ იზინა თავი როგორც მოსახლეობაში, ისე ბიზნესში.

ეკონომისტი აკაკი ცომაია ლარის ბოლოდროინდელ მერყევობას რამდენიმე ფაქტორს უკავშირებს.

„სავალუტო ბაზარზე საკმაოდ მერყევი ტენდენციები შეინიშნება, რაც ლარის ასეთ მერყევობას იწვევს. გამყარების მთავარი ფაქტორი იყო საგარეო მოთხოვნის ზრდა, ანუ რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლა. დაიწყეს ბიზნესების დარეგისტრირება და ქართულ ეკონომიკაში უცხოური ვალუტის ჩადება. ასევე გაჩნდა მოლოდინი და ხალხმა დაიწყო დანაშაურობის კონვერტირება ლარში. ეს კიდევ უფრო მეტად ამყარებდა კურსს.“

კიდევ ერთი ფაქტორი არის, მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, თუმცა მას შემდეგ, რაც დაიწყო რეფინანსირების განაკვეთის შემცირება, ეს პირველ რიგში, აისახა საფინანსო ბაზარზე, რადგან პროცენტის შემცირება ავტომატურად უზიარებს ინვესტირებას, რომ დანაშაურობის შეინახონ არა ლარში, არამედ უცხოურ ვალუტებში, რადგან მათ უზრუნველყოფს მონეტარული პოლიტიკა, რომ მონაწილეობა ლარში გაუფასურდება. გამომდინარე იქიდან, რომ ლარი მისი წინასწარობის ნიშნულთან იყო უფრო მეტად გამყარებული, მერყეობდა, რომ ეს პროცესი ახლა უნდა წამოვიდეს უკან გაუფასურებისკენ“, - აღნიშნა ცომაიამ.

განსხვავებული მოსაზრებისაა საბანკო ასოციაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე ძნელაძე. მან დაადასტურა, რომ ბაზარში მკვეთრი რყევები მოსლოდნელი არ იყო, თუმცა მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. რაც შეეხება გამომწვევ ფაქტორებს, ძნელაძის შეფასებით, კურსზე ერთობლივად იმოქმედეს ისეთმა გარემოებებმა, როგორც ტურისტული ნაკადების ტემპის შესუსტება, იმპორტის გააქტიურება, სემ-ის ინტერვენციები და სხვა.

„მეფრი ნიუანსია, რაც ლარის გაუფასურებას განაპირობებს. გამოკვეთილად რომელიმე ფაქტორის გავლენაზე საუბარი გამიჭირდება. მნიშვნელოვანია, რომ უცხოური ვალუტის შემოდინების კუთხით ტემპი შენედა. რეზერვების შევსების მხრივ გარკვეულწილად ეროვნულმა ბანკმა მდიდარი წარმატება მიაღწია.“

მაისი ყოველთვის გამოირჩევა იმპორტის გააქტიურებით, რაც ასევე განაპირობებს რყევებს. რამდენიმე ფაქტორმა ერთობლივად იმოქმედა. მნიშვნელოვანია, რომ სხვა პერიოდში თუ ტურისტული ნაკადების

ზრდა შეიმჩნეოდა მაისში, ახლა დინამიკა თანაბრია. ტენდენციას უნდა დავაკვირდეთ. წესით, ეროვნული ვალუტა ბაზარზე პერიოდულად გამყარდება იყო ორი ფაქტორი, მაგრამ წელს მოცემულმა შეიცვალა“, - განუცხადა „ბიზნეს ინსაიდერს“ ძნელაძემ.

როგორ შეიძლება შეიცვალოს ვითარება და რამდენ ხანს გასტანს რყევები, საბანკო ასოციაციის ხელმძღვანელი პროკონომისტი ჯერჯერობით ვერ აკეთებს, თუმცა ამბობს, რომ ამჟამად ლართან მიმართებით 2,70-2,80-იან მაჩვენებელს კურსი არ უნდა გასცდეს.

„ვერ გეტყვი, რა ნიშნულს დაუზღუდვინებს ლარი. მცურავი კურსია, მთლიანად მოთხოვნა-მიწოდებაზე დამოკიდებული. მთავრობაც და სემ-იც ორიენტირებულია, რომ კურსი იყოს სტაბილური, მაგრამ პირდაპირი ჩარევა არ ხდება. პროკონომი მიტინგს, თუმცა შემოიღო ვივანაუდო, რომ 2,70-2,80 ის ზღვარია, რასაც ლარის გაუფასურების მაჩვენებელი ჯერჯერობით არ უნდა გასცდეს“, - დასძინა ძნელაძემ.

ეკონომისტთა ნაწილი კი ხელს პირდაპირ ეროვნული ბანკისკენ იმეფებს და კურსის ხელოვნურად გაუფასურებაში აღნაშაულებს.

ანალიტიკოსი ოთო ამესაძის შეფასებით, ეროვნულ ბანკს, როგორც უნდა, ისე ჭრის და კურსს ლარის გაცვლით კურსს და ეს ყველაფერი გადამდის უდიდეს მავნებლობაში.

„ქვეყანაში გვაქვს უდიდესი მონეტარული ტენზიონობა. ეროვნულ ბანკს როგორც უნდა ისე ჭრის და კურსს ლარის გაცვლით კურსს და ეს ყველაფერი გადამდის უდიდეს მავნებლობაში. საქართველოს ისტორიაში რეკორდული თანხა, 300 მილიონ დოლარზე მეტი ამოიღო ეროვნულმა ბანკმა აპრილში (ყოველგვარი მიზეზის გარეშე) ბანკიდან და ამან გამოიწვია ის, რასაც ხედავთ, ანუ 10-14 თეთრით გაუფასურდა ლარი.“

რასაკვირველია ეს მონეტარულად აისახებოდა ფასებზე, როგორც საწვავზე, ისე პროდუქტებზე, რადგან სამომავლო რეზერვები იმპორტიორებმა უნდა შეავსონ. თუ იმპორტიორს საწვავი თუ მკაცრონი ნაყიდი აქვს 2.50-იან კურსზე და უცებ 2.64 ხდება დოლარი, ისიც მონეტარულად აწევს ფასს, რათა მომდევნო რეზერვების შევსების დანაკლისი არ გაუჩნდეს. შესაბამისად, ამ ფასნაშაურობაზე პასუხისმგებელია მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ბანკი და მთავრობის ეკონომიკური გუნდი. უნდა მოვითხოვოთ ჩვენი შემოსავლის შესაბამისი ფასები როგორც საწვავზე, ისე სურსათზე“, - აღნიშნა ამესაძემ.

ჯერჯერობით, არც ეროვნულ ბანკში და არც მთავრობის ეკონომიკურ განდში შეფასებები არ გავითვალისწინებთ. ლარის ერთწლიანი ნდობა კი თვალსა და ხელს შუა ქრება.

გიორგი ლაშვილი

# 133 ოჯახს - ბინები 1 ლარად!

## გარდაბანში უდიდესი თბოელექტროსადგური შენდება!

რამდენიმე დღის წინათ მთავრობის სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს განკარგულება, რომლის მიხედვითაც, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ 133 ოჯახს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად საკუთრებაში გადაეცემა მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული 160 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მათზე განთავსებული საცხოვრებელი ფართებით. გადასაცემი ქონება მდებარეობს ხონში, ახმეტაში, ასევე ლაგოდეხის, წალკის, ნინოწმინდის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში.

მთავრობის წევრებმა დაამტკიცეს ასევე განკარგულება გარდაბნის მუნიციპალიტეტში კომპინირებული ციკლის მესამე თბოელექტროსადგურის მშენებლობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე. განკარგულების საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი 350-430 მგვტ. სიმძლავრის მქონე კომპინირებული ციკლის, ენერგოეფექტური თბოელექტროსადგურის მშენებლობისთვის გამოცხადდება აუქციონი და შეინიშნება ინვესტორი, რომელმაც ოთხი წლის ვადაში

ში უნდა ააშენოს და ექსპლუატაციაში გაუშვას საქართველოში ყველაზე დიდი თბოსადგური.

მთავრობის წევრებმა განიხილეს საკითხი „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. კანონის პროექტი შემუშავებულია ქვეყნის შიდა რეგულაციური სამსახურის გადაყვანის რეფორმის ფარგლებში.

კანონპროექტი ითვალისწინებს ქვეყნის შიდა რეგულაციური სამსახურის გადაყვანის მოქცევას სანებართვო სისტემაში, საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვის პროცესის მარეგულირებელი ნორმების დახვეწას და ავტოსადგურების სერტიფიცირებას, რაც უზრუნველყოფს საქალაქთაშორისო მგზავრთა გადაყვანის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას და უსაფრთხოების დონის ამაღლებას, ასევე შეიქმნება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. რეფორმა ხელს შეუწყობს სამსახურთა გადაყვანების სფეროში მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი და გამოცდილი კადრების დასაქმებას.

# ქვეყანას გაუჩნდა შანსი, ელექტროენერჯის ექსპორტიდან დიდი სარგებელი მიიღოს

საქართველოს ენერჯეტიკაში დადებითი ძვრები - ელექტროენერჯის ექსპორტი იზრდება, ხოლო იმპორტი მცირდება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც მსოფლიოში ენერჯეტიკის მატარებლებზე ფასი მატულობს. ამ პირობებში ქვეყანას გაუჩნდა შანსი იმპორტისთვის ნაკლები თანხა დახარჯოს, ხოლო ექსპორტიდან დიდი შემოსავალი მიიღოს.

წელს საქართველომ ელექტროენერჯის ექსპორტი აპრილიდან დაიწყო. როგორც ელექტროენერჯის ფაქტობრივი ბალანსიდან ჩანს, ქვეყანამ 166 მლნ კვტ.სთ მოცულობის ელექტროენერჯია თურქეთში გაიტანა. ჯამში მიმდინარე წლის ოთხ თვეში საქართველოს თითქმის 168 მლნ კვტ/სთ მოცულობის ელექტროენერჯია აქვს ექსპორტზე გატანილი, საიდანაც ქვეყანამ 12 მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო.

2023 წლის აპრილში ეკონომიკის სამინისტრომ ელექტროენერჯის საპროგნოზო ბალანსი გამოაქვეყნა. ბალანსიდან ჩანს, რომ წელს მთავრობა ელოდება, რომ წელს ელექტროენერჯის ექსპორტი მილიარდ კვტ/სთ-ს გადააჭარბებს, ხოლო ექსპორტი აპრილიდან დაიწყება.

საპროგნოზო ბალანსის მიხედვით, აპრილში ექსპორტის მოცულობა რეალურად მაღალი 346,2 მლნ კვტ/სთ უნდა ყოფილიყო.

შთამბეჭდავი მონაცემები იყო შარშანაც. 2022 წელს საქართველოდან ექსპორტირებული ელექტროენერჯის (971 მლნ კვტ/საათი) 89% თურქეთში, ხოლო 11% სომხეთში გავიდა.

პარალელურად მცირდება ელექტროენერჯის იმპორტი და 2023 წლის აპრილში მინიმალურად მიახლოებულ 4.26 ათას აშშ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის ამ-

ავე პერიოდის მაჩვენებელზე, 4.3 მლნ აშშ დოლარს მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

იმპორტის კლება და ექსპორტის ზრდა იმის მანიშნებელია, რომ ქვეყანა შიდა მოთხოვნას საკუთარი გამოიმუშავებით აკმაყოფილებს, ჭარბ ენერჯიას კი საზღვრებს გარეთ ყიდის.


სწორედ ამ დადებით გარემოებაზე საუბრობენ ენერჯეტიკოსები. გია არამიძე ხაზს უსვამს, რომ ელექტროსადგურები გამოიმუშავებენ იმაზე მეტს, ვიდრე გვჭირდება, ამიტომ იყიდება ქვეყნის გარეთ.


„გაზაფხულზე, მაისის და აპრილისთვის დასაწყისში წყალი იმატებს და მუხრბრები, რომ ჩვენი ელექტროსადგურები გამოიმუშავებენ იმაზე მეტს, ვიდრე გვჭირდება, ამიტომ იქმნება იმპორტის შესაძლებლობა. ამ პერიოდში ჩვენი საკმაოდ სერიოზული რაოდენობით ენერჯიას გავითარებთ ექსპორტზე. ეს არ ნიშნავს მთლიანად გაყიდვას და ქვეყანაში თანხის შემოტანას, რადგან როდესაც გვიჭირს (დეკემბერში, იანვარში, თებერვალში) სხვებისგან ვყიდულობთ და ზოგი შესაძლოა, ნასესხები გვქონდეს და უკან ვუმზუნებდეთ. ეს არის ტრადიციული ვითარება, რომელიც ყოველ წელიწადს გვაქვს.“

ასევე იზრდება ჩვენი შემოსავლები და გაყიდულ დენს საკმაოდ კარგი ფასი აქვს. თუ მას არ გაყიდოთ, სხვას ვასესხებთ და თუ პრობლემები შეგვექმნება, ელექტროენერჯიას უკან დაუმზუნებთ. ეს ძალიან კარგია ჩვენი ენერჯეტიკის ბალანსისთვის“, - განაცხადა გია არამიძემ და დასძინა, რომ საქართველომ 2022 წელს 85 მლნ დოლარის ელექტროენერჯია გაყიდა და 43 მლნ დოლარის დენი იყიდა ანუ ყიდვა-გაყიდვაშიც დადებითი ბალანსი აქვს ქვეყნის ენერჯეტიკას.

ენერგოსექტორში ახლა პრობლემა ისაა, რომ ქვეყნის განვითარების ტემპი, დარგის განვითარებას საგრძნობლად უსწრებს. ამან კი მომავალში შესაძლოა, შეფერხებები გამოიწვიოს. წესით კი, ქვეყანა უნდა ვითარდებოდეს ისე, რომ ენერჯეტიკა წინ უსწრებდეს დანარჩენი დარგების განვითარებას და არა პირიქით. საქართველოში განვითარება უფრო სწრაფია, ვიდრე დაკმაყოფილება და ახალი წყაროების ექსპლუატაციაში შეყვანა. ეს ტენდენცია ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა. როგორც ენერჯეტიკოსები ამბობენ, საჭიროა ყოველწლიურად 6-7%-ის ფარგლებში განხორციელდეს სისტემაში დამატებითი სიმძლავრეების შეყვანა.

გიორგი ლაშვილი





სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, 2000 წლის 9 ივნისს საქართველოს საპატრიარქოში მიიწვია მისურადზების 70 წარმომადგენელი და დალოცა გვარი.

2008 წლის 8 ივნისს, საგვარეულო კავშირის 10 წლისთავთან დაკავშირებით, სამების საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მეორედ დალოცა მისურადზეთა გვარი.

1995 წლის 5 ოქტომბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დადგენილების საფუძველზე დაფუძნდა და დაარსდა „მისურადზეთა საგვარეულოს საზოგადოება“, ხოლო 1998 წლის 3 აგვისტოს თბილისის დიდუბის რაიონის



WWW.MAISURADZENI.COM

# როცა გვარს აქტიური წინამძღოლი ჰყავს!

სასამართლოს დადგენილებით, მოხდა გვარის ხელმეორედ რეგისტრაცია და ეწოდა „მისურადზეთა საგვარეულო კავშირი“.

1995-2012 წლებში, საქართველოს ხუთ რეგიონში: (ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთი და რაჭა) ჩამოყალიბდა მისურადზეთის რეგიონალური ფილიალები.

წმ. იოანე აღმსარებლის (ერისკაცობაში ვასილ მისურადზე) ხატი, 2003 წელს სიონის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აკურთხა.

გვარის მუდგ-სოფლად, ოდამად აღიარებულია ვარძია-ხერთვისის მიმდებარე სოფლები მესხეთში, ქვედი და წედისი - რაჭაში.

გვარის წარმოშობის რამდენიმე ვერსია არსებობს: ერთ-ერთი ვერსიით გვარის წარმომავლობა მომდინარეობს სახელი „მისა“-დან, ხოლო მეორე ვერსია უკავშირდება არაბული სიტყვა „მისურად“, „წყლის მესაიდუმლეს“, „მძებნელს“...

ქართულ გვარებს შორის მისურადზეთის გვარი მეოთხეა. მათი რიცხვი 16172 აღწევს. საისტორიო დოკუმენტებში მისურადზეთის გვარი მოხსენიება XV- XVI საუკუნეებში ვენახის ნასყიდობის საბუთში. მითითებულია ... მოწმე და შუამდგომელი ვახტანგ მისურადზე... (ქუთაისის მუგუში, საბუთი №486)..

სოციალური სტატუსის მიხედვით მისურადზეთი ნაწილი სასულიერო პირია, ნაწილი საპატრონო გლეხები;

მისურადზეთა განსახლების არეალი მეტად მრავალფეროვანია - რაჭა, სამცხე, იმერეთი, კახეთი, სამეგრელო, ქართლი. თბილისში 6272 მისურადზე ცხოვრობს, გორში - 1413, რუსთავში - 1008, თელავში - 600, ონში - 580, ახალციხეში - 430, მორჯოში - 409, გურჯაანში - 380, ახმეტაში - 362, ქარელში - 353, ხაშურში - 316, ლაგოდეხში - 282, ქუთაისში - 190, ასპინძაში - 171, მცხეთაში - 135, მთლიანად - 104, მათგან - 85 და ა.შ.

გვარში ცნობილი ადამიანები მრავალადა: მათ შორის, მეტადუღვრელი ფალავანი კოსტა მისურადზე, მრავალგზის ჩემპიონი ჭიდაობაში სიმონ მისურადზე, საქართველოს ტერიტორიული მოტიანობისთვის მრძოლაში დაღუპული ეროვნული გმირი ჯიმშერი (ჯიმი) მისურადზე, მადრი მისურადზე - მსოფლიოში ცნობილი ტენორი; წარმატებული ახალგაზრდები ქართულ სპორტში - მირიან მისურადზე, ლუკა მისურადზე და სხვები. მისურადზეთა საგვარეულო კავშირმა თავისი არსებობის (1995-2022 წლებში) პანძილოვ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარა.

საგვარეულო კავშირის დაარსებისთანავე, 1995 წელს, რაჭაში, სოფ. წედისში გაიხსნა მა-



ისურადზეთის მიერ აშენებული წედისის გორიჭრის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.

1998 წელს თბილისში მისურადზეთა საგვარეულო კავშირის სრული დაფინანსებით, ამსოლუტური ჩემპიონის გამოსავლენად ჩატარდა ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. იმავე წელს, ახალციხეში, პირველი ქართველი პროფესიონალი - უმაღლესადამრთველი ფარმაცევტის იოანე მისურადის ხსოვნის პატივსაცემად, მისი საცხოვრებელი სახლის ფასადზე განთავსდა მემორიალური დაფა.

1999 წელს, რაჭაში სოფელ ქვედიში მისურადზეთის მიერ აშენდა და იკურთხა წმ. სამების სახელობის ეკლესია.

იმავე წელს, თბილისში, შერობას ქუჩაზე, შერობის ფასადზე განთავსდა უდროოდ გარდაცვლილი ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის მერაბ მისურადის მემორიალური დაფა.

2000 წელს, ქალაქ ქუთაისში, „მწვანე ყვავილას“ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გაკეთდა პირველი ქართველი აკადემისტი მხატვრის გიორგი მისურადის საფლავის სრული რეკონსტრუქცია და ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გაიმართა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

2001 წელს მისურადზეთა საგვარეულო კავშირმა გამოსცა ისტორიკოსის, პროფესორ გურამ მისურადის წიგნი: „ნარკვევები საქართველოს და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან IV-XII საუკუნეებში“.

ამავე წელს მისურადზეთა საგვარეულო კავშირმა გამოსცა პერიოდული ორგანო გაზეთ „მისურადენის“ პირველი ნომერი.

2002 წელს თბილისის რკინიგზელთა სასახლეში ჩატარდა გამოჩენილი ქართველი მოჭიდავის სიმონ მისურადის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. მა-

ისურადზეთა საგვარეულო კავშირის შუამდგომლობით ბატონი სიმონ მისურადზე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

2003 წელს, ქალაქ თბილისში, დაიწერა წმ. იოანე აღმსარებლის (მისურადზე) ხატები. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ხატები დაბრძანებულია სიონის საკათედრო ტაძარში, ანჩისხატის სახელობის ეკლესიაში, მეთანის ღვთისმშობლის შობის სახელობის მონასტერში, აგრეთვე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ 70-მდე ეკლესიაში.

2004 წელს რაჭაში, სოფელ წედისში დაამზადა და გაიხსნა მემორიალური კომპლექსი I-II მსოფლიო ომებში, სამხრეთსა და აფხაზეთში გარდაცვლილ წედისელ მისურადზეთა სახელების უკვდავსაყოფად.

იმავე წელს, სამხრეთში, სოფელ არშოში წმ. გიორგის სახელობის X საუკუნის ეკლესიას ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები, სადაც დაბრძანებული იქნა წმ. იოანე აღმსარებლის ხატი. „მისურადზეთა საგვარეულო კავშირის“ მოსკოვის ფილიალის კოორდინატორის მეუღლე მისურადის დაფინანსებით, 2013 წელს აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა ამავე ეკლესიას და მისურადზეთა საგვარეულო კავშირის ინიციატივით დაბრძანებული იქნა მეთანელი მერის წმ. იოანე აღმსარებლის (მისურადზე) ხატი.

2005 წელს, მეთანის ღვთისმშობლის შობის მონასტრის ეზოში მოხდა წმ. იოანე აღმსარებლის საფლავის სრული რეკონსტრუქცია.

2007 წელს, ქალაქ ონში ჩატარდა ლეგენდარული მოჭიდავის კოსტა მისურადის სახელობის ტურნირი ჭიდაობაში, ხოლო 2008 წელს ქალაქ თბილისში - სიმონ მისურადის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით კვლავ ჩატარდა ტურნირი ჭიდაობაში.

2009 წელს ქალაქ თბილისში წმ. სამების საკათედრო ტაძრის ეზოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივით, საქართველოში მცხოვრებმა სამმა უდიდესმა გვარმა: მისურადებმა, გელაშვილებმა და მერძიძეებმა დარგეს სამი მუხის ხე, წმინდა სამებისა და საქართველოს სიძლიერის და გაერთიანების სიმბოლოდ.

2011 წ. თბილისი ჩატარდა კონკურსი მხატვარ მისურადზეთა შორის და გამოვლინდა გამარჯვებული, რომელთა მიერ შექმნილი ესკიზის მიხედვით შეიქმნა მისურადზეთა საგვარეულო დროშა.

იმავე წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მისურადზეთა 8 კაჟიანმა ჯგუფმა, მღვდელ-მონაზონ იონა მისურადის წინამძღოლობით, მოილოცა წმინდა ათონის მთა, შეიქმნა ფილმი ამ დაუე-

იწყარ მოგზაურობასთან დაკავშირებით.

2015 წელს მისურადზეთა საგვარეულო კავშირმა, სოფელ გიორგეთში მდებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას (რომელიც მთლიანად მოპირკეთებულია ამბროსი და ვიტალი მისურადების დაფინანსებით), შესწირა წმ. მამების იოანე და გიორგი-იოანე აღმსარებლების ხატი. იმავე დღეს საგვარეულო კავშირმა მოინახულა საქართველოს გმირის, საქართველოში „შავ პოლკოვნიკად“ ცნობილი ჯიმი მისურადის საფლავი და პატივი მიაგო მის მარადიულ ხსოვნას.

ქ. თბილისში მცხოვრებმა მისურადებმა ოჯახმა გადაწყვიტა აღედგინა სოფელ ოლოში არსებული ეკლესია. ყველა სამუშაო დაფინანსეს დამამ თინა, მერი, დალი და ზურაბ მისურადებმა, ასევე წარმოშობით ოლოშიდან ქ. გორში მცხოვრებმა გიორგი ასკილაშვილმა.

მისურადზეთა საგვარეულო კავშირის სრული დაფინანსებით და ონის მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით, 2019 წლის 26 მაისს ქ. ონში საზეიმოდ გაიხსნა ლეგენდარული ქართველი ფალავანის კოსტა მისურადის მრინჯაოს ბუსტი, რაც სახალხო ზეიმში გადაიზარდა, ჩატარდა ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ღონისძიებას ესწრებოდნენ ყველა კუთხიდან ჩამობრძანებული მისურადები, ჭიდაობის ფედერაციის და ონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. ბუსტი გახსნა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ძიუდოში ლუკა მისურადემ.

მისურადებების გვარის მიერ ჩატარებული ღონისძიებები მეტად შთამბეჭდავია, რაც იმაზე მეტოთესს, რომ გვარი მომიღებულა ძველი მისურადის სასიკეთო საქმეების საკეთებლად, რასაც ხელს უწყობს გვარის სახელოვანი ადამიანები, რომლებიც უანგაროდ უძღვებოდნენ და დღესაც უძღვებიან საგვარეულო ორგანიზაციებს, მათ შორის არიან ომარ მისურადე, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, წარმატებული იურისტი, იგი 1998 წლიდან 2001 წლამდე აქტიურად უძღვებოდა მისურადზეთა მრავალრიცხოვან გვარს, გვარის წინაშე დიდი დამსახურებისათვის ომარ მისურადე საგვარეულო კავშირის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს.

არანაკლები დამსახურება მიუძღვის მისურადზეთა გვარის წინაშე თენგიზ ივანეს-ძე მისურაძეს, იგი არის საქართველოს საგვარეულო კავშირის „გვარი და გვარიშვილის“ დამფუძნებელი, დაჯილდოებულია წინამძღოლთა დარბაზის „საპატიო დარბაზის“ სიგელით.

2012 წლიდან მისურადებების გვარს თავაკოვს თენგიზ გურამის-ძე მისურადე, რომელიც აქტიურებით გამოირჩევა და განვლილ წლებში არაერთი საინტერესო და შთამბეჭდავი ღონისძიება განახორციელა.

ამჟამად მიმდინარეობს ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება საგვარეულო წიგნის გამოცემაზე. მისურადზეთა საგვარეულო კავშირი აქტიურად ეწყვეს საქველმოქმედო საქმიანობასაც გვარიშვილთა დასახმარებლად.

ღმერთმა დალოცოს და ამრავლოს მისურადზეთა მრავალრიცხოვანი გვარი!

ვალერიან ლომიძე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრი



**ქართულ საისტორიო მეცნიერებას უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი შეემატა. ახლახან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეგიდით გამოვიდა „კავკასიის ისტორია“ ორ ტომად. გამოცემის მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი როინ მეტრეველი.**

**ავტორთა ჯგუფში შედიან: როინ მეტრეველი (ხელმძღვანელი), მალაქა მამაძე, მახსანგ მურული, ალექსანდრე დაუშვილი, ლელა მიქიაშვილი, ზონი კვიციანი, გიორგი ჯიშვილი, ოთარ ზანელიძე.**

კავკასია ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერაა. ეს რეგიონი, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ოდითგან ბუნებრივ ხიდს წარმოადგენდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ კავკასია განსხვავებული კულტურების გზაშესაყარად იქცა ევროპისა და აზიის მიჯნაზე.

უძველესი დროიდან მოყოლებული კავკასია ცნობილია ბუნებრივი, ეთნიკური, ენობრივი, კულტურული მრავალფეროვნებით. საქართველოს გავსისხნით, რომ ამ შედარებით მცირე რეგიონში, რომლის საერთო ფართობი 440 ათასი კმ<sup>2</sup>-ია (თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ვილაიეთებისა და ირანის ჩრდილო-დასავლეთი ორი ოსთანის უკიდურესი ჩრდილოეთი მხარეების დასაბამით, რომლებიც გეოგრაფიულად კავკასიას ეკუთვნიან - 580 ათასი კმ<sup>2</sup>), ორმოცდაათამდე ეთნოლინგვისტური ჯგუფი ცხოვრობს. აქ ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ იბერიულ-კავკასიურ, ინდოევროპულ, თურქულ, სემიტურ, მონღოლურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები. ეთნიკური მობაიკის გარდა, აღსანიშნავია, რომ კავკასია რელიგიურად განსხვავებულია, სადაც ერთმანეთს ხედავდა და თანაარსებობს ევრაზიის ყველა დიდი მონოთეისტური რელიგია, რომლებიც წარმართულ თუ ზოროასტრულ კულტებს ჩაენაცვლნენ. შესაბამისად, კავკასია კულტურული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ნიშანდობლივია, რომ არქეოლოგიური აღმოჩენებით უძველესი ადამიანი აფრიკიდან ევრაზიის კონტინენტზე სწორედ კავკასიის, სახელდობრ საქართველოს ტერიტორიის გავლით მოხვდა. იმ შორეული წარსულიდან მოკიდებული, ისტორიული ქარტიზილების არეალში კავკასია მუდმივად იყო ჩართული.


მიუხედავად ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნებისა, კავკასიელებს ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს საერთო ისტორიული მემკვიდრეობა და ტრადიციების მსგავსება, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები. დღევანდელ ვითარებაში, გლობალიზაციის, მსოფლიოში ახალი ტექნოლოგიური რევოლუციის პირობებში, მერტად მნიშვნელოვანია კავკასიის როლი დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაახლოების პროცესში, რისი გააზრებაც კავკასიის წარსულის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

ზოგადად, ინტერესი კავკასიის ისტორიისადმი, კულტურისადმი, უაღრესად დიდია. შესაბამისად, მსოფლიოს არაერთი სამეცნიერო ცენტრი სწავლობდა და სწავლობს კავკასიის ისტორიისა და კულტურის საკითხებს, თუმცა ამ მიმართულებით განმაზოგადებელი ნაშრომის შექმნა საკმაოდ დაგვიანდა.

„კავკასიის ისტორია“ წარმოადგენს მონუმენტურ გამოცემას, რომლის პირველი ტომი რვაასი, ხოლო მეორე ტომი შვიდასორმოდიათი გვერდისაგან შედგება. თვალის ერთი გადავლენაც საკმარისია, რომ დავინახოთ, რა უზარმაზარი შრომა გაუწევია ავტორთა კოლექტივს. ნაშრომში


კავკასიის ისტორია გადმოცემულია ნივთიერი, ეთნოლოგიური, ლინგვისტური, ფოლკლორული, ქართული და უცხოენოვანი წერილობითი წყაროების, კრიტიკული შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე; უაღრესად ვრცელი ქართული და უცხოენოვანი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ ნაშრომი უხვად არის ილუსტრირებული. ილუსტრაციებს შორის არის ცნობილი ფოტოგრაფების დიმიტრი ერმაკოვის, ალექსანდრე როინაშვილის და სხვათა ფოტოები საქართველოს ეროვნული არქივის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტოკოლექციებიდან და პირადი არქივებიდან. ამ ილუსტრაციებს არსებითად წყაროს მნიშვნელობა აქვს. ნაშრომს ასევე ერთვის ისტორიული რუკები, რომლებიც წარსულის პოლიტიკური ვითარების აღდგენის საშუალებას იძლევა და აადვილებს ტექსტის აღქმას; პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებლები; ვრცელი რეგიონული ინგლისურ ენ-

კავკასიის ისტორიაზე მუშაობა ძალზე რთული იყო, მაგრამ მათ წინაშე მდგარი ამოცანა დაუძლეველი – სულაც არა. აღსანიშნავია, აკადემიკოს როინ მეტრეველის წვლილაც ამ წამოწყების წარმატებით დაგვირგვინებამ. გარდა იმისა, რომ ის წიგნის ერთი მნიშვნელოვანი ნაკვეთის ავტორია, მან თავის თავზე აიღო თითქმის 1600 გვერდიანი ნაშრომის რედაქტირება, მანვე შეარჩია საილუსტრაციო მასალები და თავიდან ბოლომდე აქტიურად იყო ჩართული წიგნის მომზადებაში. უნდა ითქვას, რომ კავკასიის ქვეყნების – საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის ისტორია მეტნაკლებად კარგად არის შესწავლილი. ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის შესწავლა, გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის მთიელ ხალხთა ისტორიის განყოფილებაში. სწორედ აქ მომზადდა პროფესორ ზურაბ



# ნაშრომი განხილავს და შეიხსნის...

## მნიშვნელოვანი მოვლენა ქართულ ისტორიოგრაფიაში



აბე, რაც ხელმისაწვდომს ხდის მის ძირითად დებულებებს უცხოენოვანი მკითხველისთვის.

ამ სახის ნაშრომი ქართულ ენაზე პირველად გამოდის, თუმცა კავკასიის ისტორიის შექმნის მცდელობა რამდენჯერმე იყო. პირველად, ასეთი ნაბიჯი ჯერ კიდევ სამაჭოთა ხელისუფლების მიმწეხრის უამს, XX საუკუნის 80-იან წლებში გადაიდგა. წამოწყება იმთავითვე უპერსპექტივო აღმოჩნდა. რუსი, ჩრდილოკავკასიელი, ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ისტორიკოსები თითქმის ვერცერთ პრინციპულ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. მეორე მცდელობა, უკვე სამაჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 90-იან წლებში იყო, თუმცა მიზანი ამჯერად უკვე მიუღწეველი დარჩა. მიზეზი, მიუხედავად სენსუსის შეუძლებლობა გახდა. მესამე ცდა ბოლო ათწლეულს განეკუთვნება, როცა თითქმის ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ საქმე წარმატებით დასრულებულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს წამოწყება ისევ ჩაიშალა.

**მეორე მცდელობა 30 წარმატებული აღმოჩნდა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის გრანტით, ავტორთა კოლექტივმა აკადემიკოს როინ მეტრეველის ხელმძღვანელობით, დაიწყო კავკასიის ისტორიაზე მუშაობა, რაც ორ წელიწადში დაგვირგვინდა.**

მუშაობა დიდი ერთობაშიაში დაიწყო, თუმცა, წიგნის ერთ-ერთმა ავტორმა მოგვიანებით განაცხადა, წარმოდგენა რომ მქონოდა თუ რა ძნელ საქმეს შეეჭვადეთ, ალბათ უარს ვიტყვოდი. აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა ავტორები დააწარმუნა, რომ


ანჩაბადის ხელმძღვანელობით „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები“ ორ ტომად (უძველესი დროიდან 1917 წლამდე), ნაკვეთი I (თბილისი, 1969), ნაკვეთი II (თბილისი, 1978). ეს გამოცემა იყო პირველი ცდა ფუნდამენტური განმაზოგადებელი ნაშრომის შექმნისა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიაში. ქართველი მკვლევრები ასევე წარმატებით ივლევენ საქართველოსა და კავკასიის ხალხების ურთიერთობათა ისტორიის თუ კავკასიის ცალკეული ხალხების ისტორიის საკითხებს. ამდენად, განმაზოგადებელი მონოგრაფიული ნაშრომის შექმნა კავკასიის ისტორიაში უკვე დიდი ხანია აუცილებლობას წარმოადგენდა.

შეიძლება ითქვას, კავკასიის ხალხები და ამ რეგიონის ცალკეული სახელმწიფოები თუ სახელმწიფო წარმონაქმნები განცალკევებით ვერ ქმნიდნენ საკუთარ ისტორიას, რადგან ყოველი ქვეყნის ისტორია კავკასიაში შეპირობებული იყო მთლიანი კავკასიის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქციებით; ამიტომ ვერც ერთი ქვეყნის ისტორია ვერ განიხილება მთლიანი რეგიონის კონტექსტიდან ამოვადებით. ნიშანდობლივია, რომ რუსულ ისტორიოგრაფიაში კავკასიის ისტორიის შექმნის მცდელობა უკვე ყოფილა.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. მთელი რიგი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებში შედიოდა საგანი კავკასიის ხალხთა ისტორია, მაგრამ სახელმძღვანელო, რომელიც მთლიანად მოიცავდა ამ სასწავლო კურსს, არ არსებობდა, თუ არ ჩავ-

თვლით ცირა ბარამიძის მონოგრაფიას, რომელიც კავკასიის გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ, კულტურულ-ცივილიზაციურ პრობლემათა კომპლექსური შესწავლის ცდას წარმოადგენს, და ჯონი კვიციანის სალექციო კურსს. ამდენად, „კავკასიის ისტორიის“ მომზადება და გამოცემა ამ მხრივაც არის მნიშვნელოვანი. თუმცა ნაშრომის მიზანი უფრო ფართოა: სამეცნიერო და ფართო საზოგადოებას გააცნოს კავკასიის ისტორია ერთიან კონტექსტში უძველესი დროიდან XX საუკუნის მიწურულამდე. ნაშრომი იხსნება აკადემიკოს როინ მეტრეველის წინათქმით „კავკასია - ცივილიზაციის უძველესი კერა“. მასში განხილულია კავკასიის როლი და ადგილი უძველესი დროიდან დღემდე, მისი მნიშვნელობა გლობალიზაციის პროცესში, განსაკუთრებით უმთავრესი მიზნის – მშვიდობიანი კავკასიის მიღწევის შესაძლებლობები, კავკასიური ცივილიზაციის პერსპექტივები.

სავსებით სწორად აღნიშნავს აკადემიკოსი რ. მეტრეველი, რომ სამაჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ კავკასიის ხალხები სრულიად ახალ რეალობაში აღმოჩნდნენ, რამაც ახალი პრობლემები დააყენა: საზოგადოებაში ყალიბდება ახალი მენტალური სტრუქტურები, გამომუშავდება კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორები; ინტეგრაციული პროცესების პარალელურად, გაჩნდა ეთნოსეპარატისტული ტენდენციები. ასეთ ვითარებაში, გლობალიზაციის პირობებში, აქტუალურია შეიძინა





# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

## პარკში ახალგაზრდა არქეოლოგთა მე-14 საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობს

მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობენ ახალგაზრდა არქეოლოგთა მე-14 საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ვარძიის ხუროთმოძღვრულ კომპლექსში მიმდინარეობს.


ქართველებთან ერთად კონფერენციის მონაწილეები უდინბურგის, ვენციის, ინსბრუკის, ოქსფორდის, იენის, ბონდის და სხვა უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები უახლეს სამეცნიერო არქეოლოგიურ კვლევებს წარადგინეს და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის არქეოლოგიური კვლევის საკითხებს განიხილეს.

„ვარძიის ახალგაზრდა არქეოლოგთა კონფერენცია დიდი პოპულარობით სარგებლობს ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში. მათი მონაწილეობა ვარძიის კონფერენციაში არის საუკეთესო შესაძლებლობა, რომ ახალგაზრდა ქართველი არქეოლოგები ინტეგრირდნენ იყვნენ ევროპულ სამეცნიერო სივრცეში, გაეცნოთ მსოფლიოს სიახლეებს არქეოლოგიაში,“ – განაცხადა თსუ პროფესორმა, კონფერენციის დამაარსებელმა და ორგანიზატორმა ვახტანგ ლიჩელმა.

კონფერენციაზე თსუ რექტორის მოადგილემ ნინო გვენეტაძემ აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ვარძიის კონფერენციას თსუ სტუდენტებისთვის მათი საერთაშორისო ასპარეზზე გასაცვანად, უცხოელ კოლეგებთან სამეცნიერო ურთიერთობის დასამყარებლად, ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციების დასაგეგმად. რექტორის მოადგილემ მადლობა გადაუხადა ვარძიის კონფერენციის ორგანიზატორებს ახალგაზრდა არქეოლოგებისთვის გზის გაკვალვაში დახმარებისთვის და თსუ რექტორის ჯაბა სამუშიას სახელით მადლობის სიგელი გადასცა ოქსფორდის უნივერსიტეტის

პროფესორს, კონფერენციის სხდომების მუდმივ თავმჯდომარეს მაიკლ ვიკერსს იმ ღვაწლისათვის, რაც მან გაწია ქართველი სტუდენტების მხარდაჭერაში, პროფესორის ჩინსვლის ხელშეწყობაში.

„ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ ვარძიის კონფერენციისათვის ვასოცირდები. ამ კონფერენციის მიზანი დაარსებიდან დღემდე არის ახალგაზრდა ქართველ არქეოლოგთა ჩართვა საერთაშორისო კოლაბორაციაში, მათი კვლევების ხარის-



ხის დონის ამაღლება. დაწმენილი ვარ, რომ ვარძიის კონფერენციიდან ქართველი სტუდენტები მიიღებენ საჭირო ცოდნასა და უნარებს. ამ კუთხით მათი წინსვლა ყოველწლიურად უფრო და უფრო შესამჩნევია.“ – აღნიშნა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა მაიკლ ვიკერსმა.

ახალგაზრდა არქეოლოგთა XIII საერთაშორისო კონფერენციის მიზანია, ხელი შეუწყოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ ახალგაზრდა არქეოლოგთა შორის კონტაქტების დამყარებას, მათი კვლევების პოპულარიზაციას მსოფლიო სამეცნიერო მაზარზე და, შესაბამისად, ქართველი სტუდენტ-არქეოლოგების საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციას. კონფერენცია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით იმართება და მძიმდომ ტაქსონომიის დაბადებიდან 160-ე წლისთავს ეძღვნება.

## რეპტორი სტუდენტებთან შეხვედრებს ატარებს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯაბა სამუშია სტუდენტებთან შეხვედრებს ატარებს. ამჯერად, რექტორი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდა და მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. თავის მხრივ, რექტორმა სტუდენტებს ის ინფრასტრუქტურული სიახლეები გააცნო, რაც მათ ფაკულტეტზე იგეგმება.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი შენობის მშენებლობის საკითხს, რომელიც ადმინისტრაციასთან ერთად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს დაეთმობა. მოეწყო პროექტების საჯარო განხილვა, რომელშიც სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას.

გარდა ამისა, რექტორის ინფორმაციით, გარემონტდება თსუ მეექვსე კორპუსი, სადაც ამ ეტაპზე სოციალური და პოლიტიკური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი განთავსებული. კორპუსი აღჭურვება თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით. შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა

სტუდენტური საცხოვრებლის მშენებლობასა და საგამოცდო ცენტრის შენობის საკითხზეც, რომლის სრული რემონტი ზაფხულში იგეგმება. რექტორის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში საგამოცდო ცენტრი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა და საგამოცდო პროცესი სრულად კომპიუტერების გამოყენებით ჩარიმინდება.

სტუდენტებთან საუბრისას ყურადღება გამახვილდა ასევე მილინგვერი სწავლების შემოღებაზე, ენების შემსწავლელი ცენტრის რეფორმაციაზე, სახელმძღვანელოების თარგმნის პროცესში სტუდენტების ჩართულობაზე. ხაზგასმით აღინიშნა სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობები. რექტორის ინიციატივით თსუ სტუდენტები საელჩოებში, საკონსულოებში და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში გაივლიან სტაჟირებას.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს სტუდენტურ პროექტებზეც, რომელთა დაფინანსებაც წელს 800 ათასი ლარია გამოყოფილი. რექტორის ინფორმაციით, მომავალი წლიდან სტუდენტების წახალისების მიზნით, იგეგმება სტუდენტური პროექტების მიუჯერის კიდევ უფრო გაზრდა.

კულტურებისა და ცივილიზაციების დიალოგმა, რომელიც განიხილება როგორც კულტურული მრავალფეროვნების დაცვის საშუალება. დღევანდელ პირობებში აუცილებელია ტრადიციების შენარჩუნება; იმ ფასეულობების შენარჩუნება, რაც ხალხებს სხვადასხვა ფენომენის – ენა, სარწმუნოება, ფოლკლორი, კულტურის სხვა კომპონენტების სახით შეუქმნია. ამოცანა ერთია – გლობალიზაციურ პროცესებში არ უნდა დაიკარგოს კავკასიური ცივილიზაცია. უნდა გვახსოვდეს, რომ გლობალიზაცია არ არის საფრთხე კულტურისათვის და ინტეგრაცია-გლობალიზაციის პროცესი კულტურული ფასეულობების გადარჩენის, მათი მსოფლიო საგანძურში შეტანის ნიშნით უნდა წარიმართოს.

ნაშრომის შემდეგ თავში (ვ. ვაშაკიძე) განხილულია სახელწოდება „კავკასიის“ წარმომავლობა, კავკასიის გეოკულტურული არეალი; აქვე, ავტორი, კავკასიის ხალხების ეთნოლინგვისტურ და ანთროპოლოგიურ მიმოხილვას გვთავაზობს. ამის შემდეგ ნაშრომის ცალკეულ თავებში თანმიმდევრულადაა განხილული კავკასიის ისტორია უძველესი დროიდან საბჭოთა იმპერიის დაშლამდე; კავკასია უძველესი დროიდან ახ. წ. IV საუკუნემდე (ვ. ვაშაკიძე); კავკასია IV-X საუკუნეებში (გ. ჭიჭიანი); კავკასია XI-XII საუკუნეებში; საქართველოს სავაჭრო გზები კავკასიაში (რ. მეტრეველი); კავკასია XIII-XVII საუკუნეებში (ჯ. ვიციანი); კავკასია XVIII საუკუნეში (ლ. მიქიაშვილი); კავკასია XIX საუკუნეში (ო. ჯანელიძე); კავკასია 1897-1916 წლებში (ვ. გურული); კავკასია 1917-1990 წლებში (ა. დაუშვილი).

ნაშრომში, მსოფლიო ისტორიის კონტექსტში, ცივილიზაციური მეთოდოლოგიის საფუძველზე, პირველად, ახლებურად არის განხილული კავკასიის ისტორიის აქტუალური საკითხები. ნაშრომში არის იმის დასაბუთების მცდელობა, რომ კავკასიის ხალხების მშვიდობიანი თანაარსებობის, ინტეგრაციის საფუძველია კავკასიური ცივილიზაცია, რომელიც ერთიან ისტორიულ წარსულში ჩამოყალიბებულ საერთო ღირებულებებს ემყარება; ნათლად იკვეთება, რომ კავკასია თავისი ისტორიით, ეთნიკური კულტურით, ენობრივად, რელიგიური მრავალფეროვნებით კვლავ უნდა მოექცეს კაცობრიობის ყურადღების არეში, როგორც მსოფლიოს მომავალი მოწყობის მიკრომოდელი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ავტორთა ჯგუფის მალაი კომპეტენცია. ცალკეული ნაკვეთების ავტორებს არაერთი ნაშრომი აქვთ იმ საკითხებისადმი მიძღვნილი, რომელიც კოლექტიურ მონოგრაფიაშია წარმოდგენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა ავტორთა ნაკვეთები ორგანულად ერწყმის ერთმანეთს და, საერთო ჯამში, მონოგრაფია კარგად იკითხება. ამასთანავე, ნაშრომის გაცნობისას ჩნდება დაუკმაყოფილებლობის განცდა და დიდი სურვილი, რომ დამატებითი ტომის ან სხვა სახით გამოიცეს კავკასიის ისტორია 1991 წლიდან დღემდე. ავტორთა ჯგუფს ნამდვილად ხელეწიფება ამ ამოცანის უმოკლეს დროში განხორციელება. საზღვარ-

გარეთის, მათ შორის რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებში დიდი ინტერესი კავკასიის ისტორიისადმი. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია ნაშრომის ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოცემა, თუნდაც შემოკლებული სახით, რითაც კავკასიის ისტორიით დაინტერესებული ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი ფართო სამეცნიერო და მკითხველი საზოგადოებისათვის ის ხელმისაწვდომი გახდება. ასევე, ვფიქრობთ, „კავკასიის ისტორიის“ გამოცემის შემდეგ მიზანშეწონილი იქნება დაიწყოს მუშაობა კავკასიის ენციკლოპედიაზე, სადაც თავს მოიყრის მთელი ცოდნა კავკასიის შესახებ.

სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ნაშრომი გამოცემულია მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემლობა „არტანუჯის“ (ხელმძღვანელი პროფესორი ბ. კუდავა) მიერ. მისი საბოლოო სახის მიცემაზე იზრუნა სარედაქციო კოლეგია ვახტანგ გურულის, ალექსანდრე დაუშვილის, ჯონი ვიციანის, მუბა კუდავას, ეთერ ზაილოშვილის შემადგენლობით. ასევე აღსანიშნავია ქართული მიზნების მხარდაჭერა ნაშრომის გამოცემაში. „კავკასიის ისტორიის“ ორტომეული დაიბეჭდა საქველმოქმედო ფონდ „ხანუბას“ მხარდაჭერით. ცხადია, მეცნიერება სახელმწიფოს მხრიდან თანადგომისა და მიზნების მხარდაჭერის გარეშე წარმატებას ვერ მიიღწევს. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, გამოცემლობა „არტანუჯის“ და საქველმოქმედო ფონდ „ხანუბას“ ერთობლივი ძალისხმევა, რაც მისასალმებელი ფაქტია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შეიქმნა ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი, სადაც კავკასიის ისტორია სრულად არის წარმოდგენილი. მონოგრაფიაში კავკასიის ისტორიის პრაქტიკულად არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი განხილვის გარეშე არ არის დარჩენილი. შეიძლება თამამად ითქვას, ამ ნაშრომის შექმნით დადასტურდა, რომ თბილისის კვლავ რჩება კავკასიოლოგიური კვლევებისა და საერთოდ კავკასიათმცოდნეობის ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრად. **აბდუნა, „კავკასიის ისტორიის“ გამომცემი უადრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის უდავოდ ხელს შეწყობს კავკასიის ისტორიის უამრავ საკითხის რეალიზაციას, კავკასიის როლისა და ადგილის გააზრებას წარსულში, დღევანდელ ვითარებასა და მომავალში; ხელმისაწვდომს გახდის მის ისტორიას მკვლევართათვის და ფართო საზოგადოებისათვის.**

**დავით მუსხელიშვილი,**  
აკადემიკოსი;

**ვაჟან ხორავა,**  
პროფესორი.





# დიქტატორებთან მათგან ბაიბი რაბი მუშაობს!

„ყველა, ვინც დაიღუპა დღევანდელი დღიდან მოყოლებული, დაიღუპა თქვენს გამოც, თქვენი სისხლის და დასასახლავი სივრცის გამო“, – ეს პრეზიდენტ ბელენსკის შარშანდელი სიტყვებია ნატოს მიმართ, რომელმაც უკრაინის თავზე ცის დაკეტვა ვერ გაბედა და რუსებს დააბოძებინა უკრაინული ქალაქები. თუმცა ის, რაც ევატივმა ბელენსკის, არ ევატივმა ღარიბაშვილს, რომელმაც რუსეთისთვის ომის დაწყების ერთ-ერთ საფუძვლად სწორედ უკრაინის ნატოსკენ სწრაფვა დაასახელა.

ბელენსკი ერთადერთი არაა, რომელმაც ნატო დაადანაშაულა უკრაინაში მოწყობილი სასაკლავო გამოცდა და მოთხოვნი, ან მიეღოთ უკრაინა ნატოში, ან უარი ეთქვათ, რადგან ამ გაურკვევლობით სარგებლობდა რუსეთი. ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა რასმუსსენმა აღიარა: „თუ უკრაინის მოუწონებთ, უკრაინის დასაცავად ნატო უნდა იმუშაოს, რადგან უკრაინის დასაცავად ნატო უნდა იმუშაოს, რადგან უკრაინის დასაცავად ნატო უნდა იმუშაოს...“

იმისთვის, თუ რატომ შეიჭრა რუსეთი უკრაინაში, საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რა მიზეზით შემოიჭრა რუსეთი საქართველოში. მიზეზი ერთი და იგივეა. ჯერ კიდევ შარშანდელი ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ანდრეას ფოგ რასმუსენი აღიარებდა ნატოს „წვლილს“ რუსეთისთვის აგრესიის გაცხობვლაში. რასმუსენი არ მალავდა, რომ 2008 წელს ბეჭარესტის სამიტზე საქართველოსა და უკრაინისთვის მათი მიუცემლობა და უზრალ დაპირება, რომ გახდებოდნენ ნატოს წევრები, სიგნალი იყო პუტინისთვის, რომ ნატოში უთანხმოება და ის საქართველოში მალევე შეიჭრა.

უფრო მეტიც, რასმუსენი იმასაც ნათქვამი, რომ ავგისტოს ომის შემდეგ კიდევ ერთი დიდი შეცდომა დაუშვა ალიანსმა, როცა 2009 წელს, ყველასდა გასაკვირად, ოპუპანტ რუსეთს ნატოს სტრატეგიული პარტნიორობა შესთავაზა.

„როცა ალიანსის გენერალური მდივანი გავხდით, დავეუბნე რუსებს და ვუთხარი, ჩემი ერთ-ერთი პრიორიტეტი სტრატეგიული პარტნიორობის შემუშავება-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ ერთი წლის წინ ისინი საქართველოს დაესხნენ თავს... მაგრამ პუტინმა არასწორად წაიკითხა ჩვენი წინადადება. თუ რამე ვისწავლეთ ამ ისტორიისგან, არის ის, რომ დიქტატორებთან მათგან ბაიბი რაბი მუშაობს“, – იხსენებს წარსულ შეცდომებს ანდრეას ფოგ რასმუსენი.

## ჩისტოვის დაიწყო ომი უკრაინაში?!

ქრონოლოგიურად გავიხსენოთ, როგორ მივედით ავგისტოს ომამდე: 2008 წლის 3 აპრილს ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გზავნილი გააუღერა, რომ საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება. სულ რამდენიმე დღეში, 2008 წლის 8 აპრილს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ჩვეული რიტორიკით უპასუხა ალიანსს, რომ რუსეთი ყველაფერს გააკეთებდა, რათა არ დაეშვა უკრაინა-საქართველოს გაწევრიანება ნატოში. იმავე წლის 16 აპრილს პუტინმა გამოსცა განკარგულება სოხუმთან და ცხინვალთან პირდაპირი ურთიერთობების დამყარების შესახებ.

2008 წლის 15 ივლისს პუტინმა ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნა „კავკასია- 2008“ დაიწყო, წვრთნებში მონაწილეებს დაურეგდათ ბროშურები, სათაურით „მეზობლო, იცნობდე შენს მტერს“, ამ ბროშურებში საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ იყო მონაცემები.

ბელენსკისა და რასმუსენის თვითაღიარებების მიუხედავად, მსოფლიოში მინც ვერ ჩამოყალიბებულან, რისთვის დაიწყო პუტინმა ომი და რატომ შეიჭრა მათგან ბაიბი რაბი მუშაობს!

## უბრალოდ არ აპირებს, უარი თქვას რუსულ ენერჯოპრომოტორებზე

უბრალოდ არ აპირებს რუსულ ენერჯოპრომოტორებზე უარს თქვას, თუმცა ანარმომავს მოლაპარაკებებს სხვა მხარეშია დივანსიფიკაციის მიზნით, – ამის შესახებ უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პიტერ სიიარტომ განაცხადა.

„არ ვაპირებ არც ნავთობის და არც ბუნებრივი აირის რუსული მომწოდებელი კომპანიის შეცვლას. ჩვენი რუსეთის საიმედო პარტნიორი იყო, როგორც „გაზპრომი“, ასევე ნავთობის მწარმოებელი. სხვა საკითხია დივერსიფიკაცია. ჩვენი გადმოსახედიდან, ეს არ ნიშნავს, რომ გვინდა, ერთი მხარე წყაროთი ჩანაცვლება. დივერსიფიკაცია ჩვენი ნიშნავს, რომ ვეძებთ სხვა წყაროებს, მაგრამ არა რუსული რესურსების ჩანაცვლების მიზნით“, – აღნიშნა სიიარტომ.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, აზერბაიჯანი და თურქეთი არიან მთავარი მომწოდებლები, რომლებსაც შეუძლიათ უნგრეთისთვის დამატებითი მოცულობის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა.

ინცდამაინც უკრაინაში? ზოგი ამას პუტინის ახირებას მიაჩნის, რომ მას ერთ დღესაც გაეღვიძა და უკრაინელი ნაციონალისტების წინააღმდეგ გაბრძოლება გადაწყვიტა, ზოგი ფიქრობს, რომ პუტინი პეტრე პირველს ედრება და „რუსული მიწების“ შემოკლება განიზრახა, ზოგი საბჭოთა იმპერიის აღდგენის მცდელობად აღიქვამს პუტინის ამ აგრესიულ ნაბიჯს უკრაინაში, რადგან რუსებს დღემდე აქვთ საბჭოთაოს ნოსტალგია და ვერ უპატივობთ გორბაჩოვისა და შევრდნაძისთვის „რევიანის დაკრულზე ცეკვა“ და იმპერიის დანგრევა. რაც შეეხება პრემიერ ლარიაშვილს, ის პუტინის მიერ უკრაინაში შეჭრის ერთ-ერთ და არა მთავარ მოტივად ნატოს გაფართოებას ასახელებს, რის გამოც ლარიაშვილი შიდა და გარე ძალების კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა.

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბიჩაძე აცხადებს, რომ პუტინს ძალიან მარტივად აქვს გაცხადებული, რომ საბჭოთა კავშირის დამოცდა ეს იყო დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა. თანაც, ეს ახლა კი არა, 15 წლის წინ განაცხადა პუტინმა. შესაბამისად, პუტინი ახლა ცდილობს, ალაღვინოს იმპერიის.

„საბჭოთა კავშირი კი დაიშალა, მაგრამ რუსეთს იმპერიალიზმზე უარი არ უთქვამს. ომის დაწყება საბინელებმა, მაგრამ სტრატეგიულად სწორი გათვლა იყო, რომ თუ პუტინი უკრაინას ომს მოუგებდა, მაშინ საქართველო ისედაც კაპიტულანტურ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, სომხეთი ისედაც დსთ-ში შემაგალია, აზერბაიჯანი იზოლაციაში აღმოჩნდებოდა, შუა აზიის რესპუბლიკებზე რუსეთის ინიციატივები გააღვიძა, ბელარუსის შესახებ აღარაფერს ვამბობთ. ამიტომ უკრაინაში ომის დაწყების გადაწყვეტილება მიიღეს მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის იმპერიის აღდგენა იყო და არის საუბარი. ნატო ეს არის მომიზეზება პუტინის მხრიდან, თორემ ესტონეთი ნატოს წევრია და პეტროგრადიდან რამდენიმე ასეული კილომეტრი ამოორებს. დღემდე რუსეთი თვლიდა და ახლაც თვლის, რომ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები მისი გავლენის ქვეშ უნდა იყვნენ. ამიტომაც უკრაინა შეარჩია სამიზნედ, რადგან უკრაინაში გამარჯვების შემთხვევაში, დანარჩენ რესპუბლიკებში, ფაქტობრივად, არანაირი გადაწყვეტილი ზომების მიღება არ დასჭირდებოდა. უკრაინას თუ აიღებდა, საქართველოსაც აიღებდა“, – აღნიშნა ვახტანგ ძაბიჩაძემ.

## მანანა ნოზაძე



უბრალოდ არ აპირებს რუსულ ენერჯოპრომოტორებზე უარს თქვას, თუმცა ანარმომავს მოლაპარაკებებს სხვა მხარეშია დივანსიფიკაციის მიზნით, – ამის შესახებ უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პიტერ სიიარტომ განაცხადა.



# ...ნიშნავს დასავლეთს - 25 ევროპული კომპანია, რომელიც ჯერ კიდევ ამარაბებს რუსულ ჯარს

რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წინააღმდეგ სანქციების დაწესებამ ვერ შეუშალა ხელი დასავლეთიდან იმპორტს – ალტერნატივის მიწოდებას ახორციელებენ კონტრაქტორები, რომლებიც სასანქციო სივრცეში არ მოხვდნენ. ევროპული მიზნისმიერ კვლავ ყიდის პროდუქციის რუსულ კომპანიებში, რომლებიც ამარაგებენ რუსულ ჯარს მიკრონიშნავით რაკეტებისთვის, ჭურვების, მცველების, ჯავშანსაფორმებით, ძრავებით სამხედრო გემებისთვის და მრავალი სხვა საქონლით. The Insider-ი ადასტურებს, რომ მიწოდება ხორციელდება გერმანიიდან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან, უნგრეთიდან, სლოვაკეთიდან, იტალიიდან, ესტონეთიდან, ლიეტუვიდან, ავსტრიიდან და პოლონეთიდან.

სტატიაში მოყვანილია იმ კომპანიების ჩამონათვალი, რომლებიც სანქციების მიუხედავად რუსულ ჯარს ამარაგებენ. ასეთია, მაგალითად, მოსკოვში მდებარე შპს „სტანი“, რომელიც შედის სახელმწიფო კორპორაცია „როსტეხსის“ სტრუქტურაში. მიუხედავად იმისა, რომ „როსტეხის“ წინააღმდეგ სანქციებმა დაწესებული, გერმანიული კომპანია Vansped Logistics-მა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, 2022 წლის ივლისში „სტანს“ ტექნიკური ალტერნატივა მიაწოდა. თავის მხრივ, „სტანი“ რუსეთის რამდენიმე თავდაცვითი საწარმოს მიმწოდებელია. კერძოდ, კომპანიამ ჩაატარა 123-ე საავიაციო საწარმოო ქარხნის ტექნიკური გადაიარაღება. ასევე „სტანი“ აწვდიდა ალტერნატივას კომპანია „სტრელას“, რომელიც გემსაწინააღმდეგო რაკეტებს აწარმოებს. სახელმწიფო შესყიდვების ბაზის თანახმად, „სტანს“ დადებული აქვს 125 კონტრაქტი, რომელთა საერთო ღირებულება 14 მილიარდ რუბლს (173 მლნ დოლარი) აჭარბებს.

კიდევ ერთი მაგალითის სახით სტატიაში მოყვანილია ფრანგული კომპანია Marchante, რომელიც ომის დაწყების შემდეგ რუსულ კომპანია „კურგანპრომოს“ ტექნიკურ ნაწილებს აწვდიდა. მიწოდების შეწყვეტისკენ ფრანგულ კომპანიას არ აჩერებდა არც ის, რომ „კურგანპრომი“ კონცერნ „კალამნიოვის“ ოფიციალური პარტნიორია, და არც ის, რომ კომპანიას რუსი სენატორი სერგეი მურატოვი ფლობს.

„კურგანპრომი“ ევროკავშირის სასანქციო სიაში მხოლოდ დეკემბერში მოხვდა, თუმცა სენატორ მურატოვს პერსონალური სანქციები ჯერ კიდევ 2022 წლის მარტში დაუწესდა. რა თქმა უნდა, მურატოვი რუსეთში უკრაინის შეჭრას უჭერს მხარს, მათ შორის იმიტომაც, რომ ამით პირად სარგებელს ნახულობს. „კურგანპრომი“ აწარმოებს ამფოტერებს ტანკებისთვის, ქვეითი და საზღვაო არტილერიისთვის, საზენიტო-საანაკვეთ კომპლექსებისთვის და ზალხური ცეცხლის სანაკვეთ სისტემებისთვის, მათ შორის „სმერჩისა“ და „გრადისთვის“, რომლებსაც ხშირად სამოქალაქო ობიექტებზე იერიშებისთვის იყენებენ“, – აღნიშნულია სტატიაში.

უკრაინაში შეჭრის გამო რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა ვერ შეუშალა ხელი დასავლური ქვეყნებიდან აგრესორი ქვეყნის ტერიტორიაზე ალკოჰოლის მიწოდებას, ზოგიერთმა მწარმოებელმა კი, რუსეთის ბაზრიდან წასვლის შესახებ გამოცხადების მიუხედავად, რუსეთში მიწოდება გაზარდეს. შებლდვების გვერდის ავლაში რუსეთს ბალტიის ქვეყნებსა და ჩეხეთში რეგისტრირებული კომპანიები ეხმარებიან. მაგალითად, ფრანგული კონცერნი Pernod Richard-ი, რომელიც ვისკის Pernod Ricard-ს, არაყს Absolut-ს და კონიაკ Ararat-ს აწარმოებს, 2022 წლის მარტში აცხადებდა, რომ რუსეთში საკუთარი პროდუქციის ექსპორტს შეწყვეტს, თუმცა მიწოდება არ შეწყვეტია.

რუსეთიდან წასვლის შესახებ მოიტყუა ლუდის ჩეხურმა მწარმოებელმა Budweiser Budvar-მა. გასული წლის მარტის შემდეგ კონცერნმა რუსეთში 1 მილიონზე მეტი ლიტრი ლუდი შეიტანა, რომლის მთავარი მყიდველი „მოსკოვის ლუდსახარში კომპანია“ აღმოჩნდა, რის ხარჯზეც კომპანიის მოგება 2,5-ჯერ გაიზარდა.

რუსეთის ბაზარზე უკრაინული Nemiroff-იც ხვდება, რომელიც რუსეთის ბაზარზე ბალტიის ქვეყნებში რეგისტრირებულ შუამავლებს შეაქვთ. ამგვარად უკრაინული ალკოჰოლი რუსულ აეროპორტებში, Duty Free-ის ფორმატის მაღაზიების დახლებზე ხვდება. აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლურ ქვეყნებში წარმოებული ღვინის ნაწილის შესყიდვა სპეციალურად ძალოვანი სტრუქტურებისთვის ხდება. სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დასავლურ ალკოჰოლს აქტიურად ყიდულობს კომპანია „იასენი“, რომლის დამფუძნებლებს შორის არის რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური.

თქვენი სცენაზე ულამაზესი აღნაგობის, სანდო-მიანი მანდილოსანი სანტუცას საოპერო პარტიას ასრულებს მასკანის ოპერადან „სოფლის პარტიონგა“. ჩემ აღფრთოვანებას გარეგნობასთან ერთად, მისი შთამბეჭდავი ხმაც განაპირობებს. მრწყინვალე ბუნებრივი მონაცემების მქონე მომღერალი – დრამატული სოპრანო, შინაგანი განცდით, სრულყოფილი სახით გადმოსცემს სასიამოლო პარტიას. განსაკუთრებულ ინტერესს მისი ხმის ხარისხი იწვევს. აშკარაა, რომ ბუნებით შესანიშნავი ხმა აქვს, მაგრამ მართო ბუნებრივი მონაცემები ხომ არაა საკმარისი? მომღერალი ნებისმიერ ვოკალურ სინთურესს იოლად იმორჩილებდა. მისი სრული დიაპაზონის, მოქნილი, ტემბრალურად ფერადოვანი კოლორით გაჯერებული, ტენიანად სრულყოფილი, შექმნილი ხმა, ყველა რეგისტრში იდეალურად ყვებოდა. ხმის წარმართვის მაღალი ოსტატობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ ჩვენს წინაშე საერთაშორისო დონის მომღერალი იდგა, ისეთი, როგორც უცხოური ვარსკვლავებისგან მოგვისმენია, თუმცა ამ შემთხვევაში სცენაზე ქართველი სოპრანო – მისიან მამიძეშილი მღეროდა.

იგი თბილისის ცნობილ უბანში – სოლოლაკში დაიბადა 1937 წლის 30 დეკემბერს. მამა, გეორგი ტატიშვილი ფაქტობრივად არ უნახავს, რადგან როგორც კი დაიბადა, იმ დროინდელმა რეჟიმმა დაიჭირა, გადაასახლა და მას შემდეგ აღარც გამოჩენილა. დედამ, ქეთევან მანდუკიძემ უნივერსიტეტი მიატოვა, ცისანა და მისი ძმა, მარტოხელამ გაზარდა.

8 წლისა იყო, როცა მუსიკალური კინოფილმი „დიდი ვალსი“ ნახა. სწორედ ამან განაპირობა სიმღერისადმი მისი ინტერესი. ერთხანს ცეკვამ გაიტაცა, ჯანო ბაგრატიონის ანსამბლში ცეკვავდა, თუმცა სიმღერამ ყველაფერს სძლია. კარგი ხმა აღმოაჩნდა. დედა მთელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ცისანას მისწრაფებს. მიუხედავად იმისა, რომ სიმღერის რამდენიმე სპეციალისტისგან უარყოფითი შეფასება მიიღო, იგი მაინც ჯიუტად განაგრძობდა თავისი ოცნების აღსრულებას. უნდა ითქვას, რომ ცხოვრებაში ხშირია შემთხვევა, როცა ამა თუ იმ დიდ მომღერალს სპეციალისტები, კარიერის დასაწყისში, უარყოფითი შეფასებებს აძლევენ: შედარებულად ღონივრები მენიამინო ჯილის განუცხადა, რომ მისგან არასოდეს დადგებოდა მომღერალი. ვერჯინემ ადრეულ პერიოდში ვერ შენიშნა და შეაფასა ენრიკო კარუზოს მრწყინვალე მონაცემები. რომის კონსერვატორიაში საქვეყნოდ აღიარებულ ტიტა რუფოს, უნიჭო სტუდენტად თვლიდნენ. იმ დროს, როცა ყაზანის სიმღერის გუნდში გორკი ჩარიცხეს, შალიაპინი დაიწუნეს და არ მიიღეს. ელვის პრესლი ორ კასტინგზე უარით გამოისტუმრეს, უფრო მეტიც, მას საბარგო მანქანის მძღოლობა ურჩიეს. ასეთი შემთხვევებიც ხდება.

დედამ ცისანა მოსასმენად სანდრო ინაშვილთან მიიყვანა. დიდი მანქანის შეფასება ასეთი იყო: „შენი ლამაზი, ომერტონებით მდიდარი, ძლიერი ხმა საშუალებას მოგცემს ნამდვილი ვარსკვლავი გახდე და ჩვენი სამშობლო ასახელო“. შეყვანილობას ინაშვილის მიერ აღზრდილ გულივო ქართველიმფილთან იწყებს, რომელთანაც 4 წელი იმუშავა.

თბილისის საოპერო თეატრში რომ ჩარიცხა, რამდენიმე თვე მერვე და მესამე პარტიებს მღეროდა. ის კი არა, რატომღაც ვილაყამ დაასვენა, რომ პროფესიულად გამოუსადეგარი იყო და თეატრიდანაც კი უპირებდნენ გაშვებას (ცნობილმა ქართულმა შურმა იჩინა თავი). კიდევ კარგი, რომ ეს არ მოხდა!

ცისანა ტატიშვილი მთელი მონდომებით და ინტერესით ჩაება თეატრის ცხოვრებაში. რამდენიმე მთავარი საოპერო პარტია შეისწავლა და დაამუშავა. ამაში მას თეატრში ახლად მისული ჯანსუღ კახიძე დაეხმარა და გვერდში დაუდგა. რეპერტუარი შთამბეჭდავი იყო: თეფრი, მარო (მაქანია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“); თამარი (ოთარ თაქთაქიშვილის „მთავრის მოტაცება“); ლეონორა, აიდა, აშენისი, დებდემონა, ამელია, ელიზავეტა, ებოლი (ჯუზეპე ვერდის „ტრუბადური“, „აიდა“, „ოტელო“, „მალ-მასკარადი“, „ღონ კარლოსი“), ვერდის „რეკვიემი“; ტოსკა, ლაურენცა (ჯაკომო პუჩინის „ტოსკა“, „ჯანის კიკი“) სანტუცა (პიეტრო მასკანის „სოფლის პარტიონგა“); სენტა, შერტრუდა (რიხარდ ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელი“, „ლოენგრინი“); ლიზა („პეტრე ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“); სალომეა (რიხარდ შტრაუსის „სალომეა“) და სხვა.

ცისანა ტატიშვილი რიხარდ შტრაუსის „სალომეას“ პარტიის ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო შემსრულებელია ყოფილ საბჭოთა კავშირში, ამიტომ მსოფლიო მუსიკის ენციკლოპედიაში იგი სალომეს შემსრულებელთა მსოფლიოს საუკეთესო სამეულშია შესული მონსენრატ კაბალიეს და ბირგიტ ნილსონთან ერთად.

უღერადობის სირბილე, ინტონაციური სიზუსტე და მაღალ რეგისტრებში ფილინების ოსტატურად გადმოცემა ცისანა ტატიშვილის განსაკუთრებულობის მახასიათებელი პროფესიული თვისებებია. მის სიმღერაში აშკარად მოჩანს მყარ სუნთქვაზე გადმოცემული კანტილე-



# ცისანა ტატიშვილი – ქართველი ტეპალდი



ნოდარ ანდლუაძე და ცისანა ტატიშვილი

ნა, რომელშიც მუდამდებდა ორგანულად შეთვისებული იტალიური ვოკალური სკოლის ძირითადი პრინციპები. საერთოდ დრამატული სოპრანოები იშვიათად აღწევენ ლირიული სოპრანოსათვის დამახასიათებელ სისუფთავეს და ელასტიურობას, იგი ამას მარტივად და ოსტატურად აკეთებდა.

მომღერალი უდიდესი წარმატებით გამოდიოდა მოსკოვის დიდი თეატრის, პეტერბურგის მარიას თეატრის, მერლინის კომიქს ოპერისა და დიოჩე ოპერის სცენებზე. მღეროდა ერევანის, მაქოს, ვილნიუსის, რიგის, კომინიოვის, კიევის, ოდესის, მინსკის, სოფიის, მუდაპეტის, ვარშავის, ბონის, კელნის, ზაარბრიუგენის, მიუნენის, ბაზელის, ათენის, ლისაბონის, ლონდონის, პრადის, ვენის თეატრებში.

მიუნენში გასტროლების დროს, სპექტაკლის შემდეგ ცისანა ტატიშვილთან შედიან ბაზელის, კიოლის, მერლინის და ბონის საოპერო თეატრების დირექტორები და სთხოვენ მათთან ემღერა „ტრუბადურში“. ვინაიდან სამაჭოთა რეჟიმისა და კანონების გამო იგი დამოუკიდებლად ვერ გადაწყვეტდა, დაუკავშირა მოსკოვში „გოსკონცერტის“ ხელმძღვანელობას. პასუხი ასეთი იყო: „სასწრაფოდ დამრუნდით, თორემ ვეღარასოდეს ეღიარებთ ვერანაირ გასტროლსო“ არა ერთი შეთავაზებაც შეძლოდა საზღვარგარეთის საოპერო თეატრებიდან, მაგრამ თავის ქვეყანას, ოჯახს და ახლობლებს ვერ უღალატა, არა და თავისი შესაძლებლობებით, მსოფლიოს არაერთ საოპერო თე-

ატრს დაამშვენებდა. სადაც ერთხელ იმღერებდა, იქ მეორედაც იწვევდნენ.

ცისანა ტატიშვილის უნიკალურ შემოქმედებაზე უამრავ ცნობილ ხელოვანს აქვს გამოთქმული მოსაზრება. მკითხველისთვის საინტერესო იქნება შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე:

„ცისანა ტატიშვილი ტემბრალზე უფრო ტემბრალა! ეს არ არის გადაჭარმებული კომპლიმენტი. იგი ქართველ ხელოვანთა იმ თაობას მიეკუთვნება, ვისი დამსახურებითაც ჯერ კიდევ მაშინ, იმ ჩაკეტულ სივრცეში, საქართველო მსოფლიომ გაიყნო“, – ცნობილი ტენორი ალფრედო კრასუნი.

„თქვენ ხმას განთავსებთ სხივების ელფარება შქონდა. ამ თეატრში ასე მრწყინვალედ ჯერ არავის უმღერია... თქვენი პერმანი მუხლს იდრეკს თქვენს წინაშე. გულთბილი მაღლობა თქვენ და სრულიად საქართველო“, – ჰერმან ვილჰელმი. ზაარბრიუგენი 1974 წელი.

„ცისანა ტატიშვილი დღესდღეობით ერთ-ერთი უმაღლესი კლასის დრამატული სოპრანოა. ეს არის სოპრანო, რომელიც ალტის სიღრმეებს წვედება, აფრქვევს ვენეციანობას, ექსპრესიას, სითბოსა და გულწრფელობას, რის გამოც კაცს სუნთქვა გვეკრის...“, – გაზეთი „ზაარბრიუგენი საიტინგში“, 1977 წელი.

„მომღერალი დარწმუნებული გრძობდა თავს მეუფედ დაპყრობილი აუდიტორიისა და თავისი გამოჩენილი ამპლიტუდებით, რომელიც ფრიად ხატოვან კონტრასტს ქმნიდა სპექტაკლში მონაწილე ქალთა ქართულ თაიგულში... როგორი მშვენიერია ცისანა ტატიშვილის დონა ანა, იგი აჯადოებს მსმენელს თავისი ფილიგრანული ოსტატობით...“, – ურნალი „მუსიკალური პეტიტეზი“.

„უზარმაზარი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე სპექტაკლმა „სალომე“ და პირველ რიგში მთავარი პარტიის შემსრულებელმა ცისანა ტატიშვილმა“, – სვიმონს-ლაგ რიხტერი.

„ცისანა ტატიშვილის იტალიური ტემბრის ხმამ სრულიად მომწუსა და მომაჯადოვა. იგი საოპერო ხელოვნების მარგალიტია, რომელსაც ძალიან უნდა გავუფრთხილდეთ...“, – მანის ლიპა.

„ცისანა ტატიშვილი ღვათაგრივი მომღერალია. მედნიერი ვარ, რომ საშუალება მაქვს ვისმინო მისი ულამაზესი ხმა, სალომეას უბადლო შესრულება“, – ელენე ოგრაზცოვა.

„სიტყვები არ მყოფნის! მე მინახავს სცენაზე დიდი და შეუდარებელი პავლოვსკაია. ცისანა ტატიშვილმა დამრდილა მისი ელფარება“, – იმან პორლოვსკი.

„შენ დაიდგი გვირგვინი დედოფლის და ოქროს ასოვით ჩაიწერება შენი სახელი“, – ჰანსულ პახიძე.

„ცხოვრებაში უამრავი სულიერი აღტაცება განვიცდია, ერთ-ერთი ასეთი აღტაცება განვიცადე მაშინ, როცა ჩემს საიუმბილეო კონცერტზე სრულიად ახალგაზრდა ცისანა ტატიშვილთან ერთად დუეტი ვიმღერე. სულ შემახსოვრება აღფრთოვანებული მსმენელის ოჯახი და აპლოდისმენტები, რომელიც ეძღვნებოდა მშვენიერ სოპრანოს...“, – დამიო ბამრაჰილი.

„ჩვენ ერთად „ღონ უუანის“ მზადების პროცესში ვიმუშავეთ. გამოვინა მისმა მშვენიერებამ, თავმდაბლობამ, პროფესიულმა პასუხისმგებლობამ და სრულყოფილმა ვოკალურმა ტექნიკამ, რომელსაც ვინტუზულად ფლობს. მისი აღნაგობა და ხიზლი, ჩემ მიერ შექმნილ სცენურ კოსტიუმებს ორმაგ სილამაზეს სძენს. მედნიერი ვარ, რომ ვიმუშავე ამ სპექტაკლზე, გავიცანი და დავუმეგობრდი ქართველ სოპრანო პრიმადონას – ცისანა ტატიშვილს“, – სოლიკო შირსალაძე.

ცისანა ტატიშვილი ყველაზე რთული საოპერო რეპერტუარის შემსრულებელი გახლდათ, რაც ასე სისხლხორცეულად სჭირდება ნებისმიერ თეატრს. სწორედ ამით იყო განპირობებული დიდი ინტერესი მის მიმართ. იგი 36 წლის მანძილზე იდგა სცენაზე, სადაც უამრავი დაუფიქარი საოპერო სახეები შექმნა. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოსა და სამაჭოთა კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდებები, მაქანია ფალიაშვილისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიები, იყო მრწყინვალეების საპრემიადენტი, ლირსების და შვეიცარიის საპატიო ორდენების კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ გახსნილია მისი ვარსკვლავი.

რაც შეეხება მომღერლის პირად ცხოვრებას, მისი მეუღლე ცნობილი მხატვარი, ფერმწერი – გოგი თოთიბაძე გახლდათ. შთამომავალი არ დარჩენია. გარდაიცვალა 2017 წლის 23 სექტემბერს, 79 წლის ასაკში.



**გელა ქოქიაშვილი,**  
ვოკალისტთა კონკურსების ლაურეატი,  
ქართული კულტურის ამბადარი,  
მწერალი, პუბლიცისტი, მკვლევარი,  
ვანო სარაჯიშვილის ფონდის  
ვიცე-პრეზიდენტი.



50

### მრავალჯამიერ!

ღირსეულ მშობელთა სანიმუშო შვილებს, სამაგალითო ოჯახების დედაბოძებს, დედისერთა გაუკაცების მისაბაძად აღმზრდელებს, არჩეულ სპეციალობათა ერთგულ პროფესიონალებს, თითოთ საჩვენებელ დებს, დიდი სანათესაოსა და სამეგობროს თვალსაჩინო წარმომადგენლებს

## თამარ და სოფიკო უნაბიძებს

საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. მალე გეხეიმთ ახალგაზრდა ბებიობა, ძვირფასო ტყუებო!

მადლიერებითა და პატივისცემით,  
თამარ დოლიძე, ვაჟა ირაქი,  
გია პლატონიშვილი.

### განცხადება №1

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიან კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრო საქმის წარმოება, კერძოდ 2014 წლის 5 მარტს გარდაცვლილი მოქალაქე როზალია რაიხმანი (დაბადებული 1929 წლის 16 05. პ/ნ:1007002408. გარდაცვალების მოწმობა №77237000588) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქალაქ ბათუმი, მახინჯაურის დასახლება ახალგაზრდობის ქუჩა №18 ბინა №13-ის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10 ბინა 28.

### განცხადება №2

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიან კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრო საქმის წარმოება, კერძოდ 2021 წლის 27 დეკემბერს გარდაცვლილი მოქალაქე სულიკო გვიანიძე (დაბადებული 1950 წლის 19. 10. პ/ნ:1006001559. გარდაცვალების მოწმობა №77237000606) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქალაქ ბათუმიში, აკაკი შანიძის ქუჩა №24-ში ბინა №13-ის (ს/ქ: 05.35.27.044.01.013.) 1/5 ნაწილის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10 ბინა 28.

### ყირიმ-კონგოს ცხელბით ექიმი გარდაიცვალა

თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში ყირიმ-კონგოს ცხელბით, ახალციხის სოფელ წყალთბილაში მცხოვრები ექიმი გარდაიცვალა. როგორც „სამხრეთის კარიბჭე“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამსახურ-ჯავახეთის განყოფილებაში დაყრდნობით წერს, 60 წლამდე კაცმა კლინიკას დაგვიანებით მიმართა და მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა.

# განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

1. სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში 2023 წლის 02 ივნისიდან გამოცხადდეს დია კონკურსი სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

1.1 ძილ-ღვიძლის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია - მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული „ა“ კატეგორია)

1.2 ნეიროტოქსიკოლოგიის ლაბორატორია - მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული „ა“ კატეგორია);

1.3 ტივილისა და ანაღეხის ლაბორატორია - მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული „ა“ კატეგორია, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“ კატეგორია);

1.4 ბიოფიზიკა ლაბორატორია - მეცნიერი თანამშრომელი ( 1 ერთეული „ა“ კატეგორია);

1.5 რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია - მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული „ბ“ კატეგორია)

1.6 რადიობიოლოგიის ლაბორატორია - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - ( ორი ერთეული „ა“ კატეგორია)

2. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

4. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

5.1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ - სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეულის (ლაბორატორია), დასაკავებელი პოზიციისა და კატეგორიის მითითებით;

5.2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

5.3. კალენდარული ავტობიოგრაფია – CV, მასში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებით;

5.4. დიპლომების ასლები;

5.5 გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი

ა) სტატიების სრული სია;

ბ) თეზისების სრული სია;

5.6. საუკეთესო ნაშრომის ასლი, რომელიც უკეთესად წარმოაჩენს კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში განმცხადებლის სამეცნიერო პოტენციალს. კვლევის უნარს;

6. კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალად, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით;

7. კონკურსის ჩატარების თარიღია 2023 წლის 12 ივნისი.

8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2023 წლის 03 ივნისიდან 2023 წლის 07 ივნისის 18: 00 საათამდე.

8.1. არასრული და არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება;

9. კონკურსანტების განცხადებების რეგისტრაციისა და საბუთების მისაღებად შეიქმნას სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

9.1 მარიამ ირემაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

9.2 ნინო ემუხვარი - დირექტორის თანაშემწე;

10. ინფორმაცია კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ იქნას საქართველოს კანონმდებლობითა და ცენტრის ვებსაიტზე გათვალისწინებული წესით.

# განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამომცხადებლის თაობაზე

1. გამოცხადდეს დია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

1.1 ნეიროენდოკრინოლოგიის ლაბორატორია - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

2. კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალად, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ცენტრის სამეცნიერო საბჭო.

4. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სახელმწიფო ენასთან ერთად ფლობს ერთ-ერთ უცხო ენას (სასურველია ინგლისური), აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და გააჩნია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება კონკრეტული ლაბორატორიის ძირითადი თემატიკის მიმართულებით.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

5.1 განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (ივსება ადგილზე);

5.2 განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

5.3 უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

5.4 დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

5.5 კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

5.6 გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებიდან ერთ-ერთის ასლი, რომელიც უკეთ ასახავს კონკურსანტის მეცნიერული მოღვაწეობის წარმატებებს;

5.7 ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

5.8 ლაბორატორიის მომავალი განვითარების ხედვა-პროგრამა;

6. დია კონკურსის საფუძველზე ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ირჩევს ცენტრის სამეცნიერო საბჭო, ამტკიცებს დირექტორი და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას 5 წლის ვადით.

7. საბუთები მიიღება სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში, მისამართი: 0160, თბილისი, გოთუას ქუჩა 14, II სართული, სამდივნო.

8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2023 წლის 15 ივნისიდან 2023 წლის 19 ივნისის 18:00 საათამდე.

9. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2023 წლის 21 ივნისს.

საკონტაქტო პირები:

• ნინო ემუხვარი (ელ.ფოსტა: ninaem@mail.ru)

• მარიამ ირემაშვილი (ელ.ფოსტა: iremashvili50@mail.ru)

• მაია მახარაძე (ელ.ფოსტა: maia makharadze11@gmail.com);

• თამარ მათითაიშვილი (ელ.ფოსტა: matitaishvili.t@gmail.com);



რაგბი ჩვენი თემაა!

აკვალური მრავალქაშიერი

გამგზობა დაცვის საერთაშორისო დღე, ნინოზა, ზოგადად – სპორტული თვალსაზრისით მდურად და, კონკრეტულად – რაგბის განხორციელების დასახელებით: მოკლედ, 1 ივნისს როგორც ერისთვის, ისე მერისთვის დატვირთვა არ აკლია, რომელსაც უდიდესი შტრისი შეემატა – უმცროსმა მორტალაოსნებმა „აეჭალაზე“ მორე ტესტი რაგბის სამშობლოს – ინგლისელ თანატოლებს 40:38 მოუგეს, რეგანში აიღეს მასთან რამდენიმე დღის წინათ ბოლო წუთზე თითქმის მოგებული მრძელის დასაზნად წაგებისთვის და, რაც მთავარია, ისტორიად დაწერეს – პირველად სძლიეს ტიერ-1-ის ნაკრებს. ველოცავთ!

არანაკლებ დასაფასებელია ლადო კილაასონის გაწვრთნილი გუნდის ის ფსიქოლოგიური სიმტკიცე, რომელიც კატასტროფულად სტარტის – 0:14 და 14:24 – შემდეგ გამოამუშავა. მოკლედ, თამამად შევიძლია ვთქვათ, რომ ნაადრევად დავაყვავებული ახალგაზრდები გვყავს. აღსანიშნავია აგრეთვე სტუმართათვის დადებული 6(!) ლელო (ხუროშვილი, ხუციშვილი, ლომიძე, კოტორაშვილი და დვალა – 2), ხოლო გარდასახვები ზუსტად ხუციშვილმა (4) და ხელაძემ (1) შეასრულეს.

ასე რომ, თავაწეულნი მივგზავნებთ სახსრეთ აფრიკაში, სადაც რამდენიმე დღიანი დასვენების შემდეგ ხანმოკლე შეკრებაზე გადავალთ და კო-

ვიდპანდემიით გამოწვეული პაუზის მერე პირველ ფორუმზე – მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშებთ „გ“ ჯგუფში მრისხანე მეტოქეებთან – მასპინძლებთან (24 ივნისი), არგენტინასთან (29 ივნისი) და იტალიასთან (4 ივლისი) ერთად.

რაც შეეხება დანარჩენ კვარტეტებს, იქ მოხვდნენ: „ა“ ჯგუფი – საფრანგეთი, უელსი, ახალი ზელანდია, იაპონია. „ბ“ ჯგუფი – ავსტრალია, ინგლისი, ირლანდია, ფიჯი.

ახლა კი გაეცანით ჩვენებურთა მძლე-თამძლე შემადგენლობას: ხაზი – მიქაძე, კობაური, კახიძე, შველიძე, ცინციკიძე, ხუციშვილი, ხუროშვილი. შერკინება – მამიაშვილი, ჭამიაშვილი, ფხაკაძე, გ. დანიშვილი, ნიკოლაძე, ზაზაძე, საყვარელიძე, ლომიძე. მარტაფა – ბურჭულაძე, კოტორაშვილი, მჭედლიძე, ცხადაძე, სულუაშვილი, ჯიღაური, ხელაძე, გენაია, ანჩვაძე, სახელაშვილი, მერიძე, თ. დანიშვილი, დვალა, ვარდანიძე, მჭედლიძე.

ვიდეო ერთხელ – ყოჩად, მიჭემო!



პირველად ევროპაში!

30დევ კარში, რომ სამართალი ურთობ ჯერ კიდევ დიდს. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა დასრულდებოდა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად იტალიის სერია – ა-ში მოწყობილი გამოკითხვა, რადგან სამ თვეში ყველას ხშირ კპრასხელიმ აჯობა!

დაიხ, 33-წლიანი მოლოდინის შემდეგ ნაპოლის ვაჩემპიონატში სოლიდური წვლილის შემტანი 22 წლის დებიუტანტი გემიდან პირდაპირ წვეულებამდე აღმოჩნდა და დამსახურებულად იღებს მილოცვებს, რომლებსაც ბუნებრივია, ჩვენც ვუერთდებით. გვჯამს, რომ ეს სკვდერო მომავალი პრემიერებისა და წარმოდგენების წინ ჯერ მხოლოდ უუნაროა და მალე აპენინებზე საქართველოს არაოფიციალური ელჩი დიდერის თვისებებს, როგორც მიგვაჩვენა, ქვეყნის ერთგულ და ახალგაზრდულ ნაკრებშიც ღირსეულად წარმოაჩენს.

დავძენთ, რომ ტრიუმფატორებმა და-

ნარჩენ ნომინაციათა უმეტესობაში გაიმარჯვეს: სპალეტი – მწვრთნელი, კიმ მინჯე – მცველი, ოსიმენი – თავდამსხმელი. ვაგრძელებთ იქნება!

ვაგვახარა გიორგი მიქაუტაძემაც, რომელმაც 23 გატანილი ბურთითა და 8 საგოლე გადაცემით ლომის წილი დაიღო საფრანგეთის ლიგა – 2-ში მორე ადგილის დაკავებამ და გაისად მეცის მიერ იქსურელიტაში თამაშის უფლების მოპოვებამ. ქართველი ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირიც გახდა, მისმა გუნდმა კი ბოლო ტურში შინ ბასტიაც სძლია – 1:0.

მაისის თვის საუკეთესო ფეხბურთელის – ბურიკო დავითაშვილის ბორლო ფინიშამდე ინარჩუნებდა აღზევების შანსს, მაგრამ მაშინ, როცა დასკვნით შეხვედრაში სტუმარი როდები დაწინაურდა – 1:0, ზუსტი დარტყმის ავტორთან მასპინძელთა ქობიტი მიჭრა და ისეთი უთავაზა, მსაჯმა თამაში შეწყვიტა. ბუნებრივია, უირონდისტებს წაგება ჩათვლებათ.

შაღლასი, სკოლაშიც...

დიდოსტატა საკადრისი

საფხვურეთი გამაფხული ძველი გვარდიის მრწყინვალე წარმომადგენელთა სახელობის ტურნირებით გააყილეს დედაქალაქის განათლების კერებმა. ეს ლოკუნიფიკაცია – თუ წარსულს არ მივაგვთ საკადრისი პატივი, ისე ჯანსაღი მომავალი თათბების როგორც სულიერი, ისე ფიზიკური ფორმირება აუხდენელ ოცნებად დაგვრჩება.

ლესი სასწავლებლის სახელით ოქროს მედალი ტურნირის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და მთავარმა მსაჯმა, თსუს-ს ფურტალის გუნდის მწვრთნელმა, საქართველოს სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ ვახტანგ მაქანიძემ გადასცა. მანვე შეარჩია წარჩინებული სტუდენტები, რომლებიც მსაჯობის დროს ესმარებოდნენ: თვითმმართველობის წარმომადგენლები გიორგი მეზ-

ძე, მათ კი მაგალითად ფინალზე განსაკუთრებული მისიით მიწვეული დედაქალაქის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი თავჯაყის, საქართველოს სპორტის მსაჯის ავთანდილ კოკაიას მისამაძი პროფესიული კარიერა გამოადგებათ.

ისღა დაგვრჩენია, დავთანხმობთ თსუს-ს სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაბიოლოგიის დეპარტამენტის ასოციურულ პროფესორს, ბატონ დავით ცხომელიძეს, რომელმაც კიდევ ერთხელ შეახსენა შეკრებილთა საპატიო სტუმრის უდიდესი დამსახურების შესახებ ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში და მადლიერების სტრიქონები ვუძღვანათ თსუს-ს რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, კანკლერს, პროფესორ ზურაბ ორჯონიძეს, თვითმმართველობის პრეზიდენტს ლადო ვაჭეჩავას, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს თათა ლეინაძეს, სპორტის ცენტრის დირექტორს ვივი შუბითიძეს, მის მოადგილეს ზურა ფხალაძეს და ყველა თანამშრომელს.



ნამოს ყველაზე ტიტულოვანი 70-80-იანელთა გუნდის დაცვის ბურჯთაგანის – ფირუზ კანთელაძის ნათელ სსოვნას დირსეული პირველი მემორიალი მიავს პატივი დედაქალაქის მე-60 საჯარო სკოლაში (დირექტორი – შოთა მალაზონია, მოადგილეები – ნანა ლომთათიძე და ნანა ჩოხელი).

აღნიშნული ცოდნის ვერის სპორტის მასწავლებლის ამპლუაში ამჯერადაც დუბლი შეასრულა ზემოთნახსენებმა ტურნირის ორგანიზატორმა და მთავარმა მსაჯმა ვახტანგ მაქანიძემ, ისევე, როგორც ავთანდილ კოკაიამ, საპროზო ადგილებზე კი მეზვიდე-მერვეკლასელთა 10 გუნდიდან შემდეგმა ტრიომ დაიკავა: მერვე გ კლასი (დამრიგებელი – იამზე გო-

ბანი), მეშვიდე გ კლასი (დამრიგებელი – ლია ქვათარაძე), მერვე გ კლასი (დამრიგებელი – ლიანა გომარელი). სხვათა შორის, ინდივიდუალური პრიზების უმეტესობა ჩემპიონებმა დაიმსახურეს: საუკეთესო მეკარე ზურაბ ჭინჭარაულმა, საუკეთესო მცველმა ნიკოლოზ ვასაძემ, 24 გოლით საუკეთესო ბომბარდირმა ნიკოლოზ ხურცილავამ და ტურნირის საუკეთესო მოთამაშემ საზა გელაშვილმა, რომელსაც, სკოლის ბიბლიოთეკის მსგავსად, ფირუზ კანთელაძის განურწმუნებლად შეგობარმა თენგიზ წურჩუმიამ სამასსოვროდ ძვირფასი თანავალსელო მოთამაშეში მიძღვნილი წიგნი-ალბომი გადასცა. რაც შეეხება დანარჩენ ჯილდოებს, მისი მფლობელები გახდნენ ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი საზა ოქიტაშვილი (მეშვიდე გ კლასი) და საფეხბურთო ფანტაზიით გამოჩენილი მოთამაშე გიორგი ლავილავა (მერვე გ კლასი).

და კიდევ: ქვეშის ღირსნი არიან მეოთხედიე გ კლასის (დამრიგებელი – მაკა ტარყაშვილი) მოსწავლეები საზა ალაგიძე და გიორგი ყვიძიძე, რომლებიც ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ აწვარდაცვლილი ამგვარი ვეტერანის პირველი მემორიალის ორგანიზებაში. ისიც სათქმელია, რომ მე-60 საჯარო სკოლის დირექტორის შოთა მალაზონიას გადაწყვეტილებით, ფირუზ კანთელაძის სსოვნის ტურნირი მინი-ფეხბურთში ამიერიდან ტრადიციული გახდება.



უპირველესად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა 27 გუნდის მონაწილეობით გამართული დაუვიწყარი ღონისძიების შესახებ ვისაუბროთ, რომელსაც თვით მისი მოწყობის ადრესატი – თბილისის ღონისძიების დირექტორი მანუჩარ მაჩაიძეც ესწრებოდა.

ფინალი. პირველი მერცხალი – ბოლო ცეკვა 2:0. ორივე ბურთი ერთთვიანი მარათონის საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეულმა დავით სულხანიშვილმა გაიტანა. დავძენთ, რომ 19 გოლით ბომბარდირთა დავაში ყველას მირიან ჯაფიაშვილმა აჯობა, ხოლო უძლიერეს მეკარედ თსუს-ს ნაკრების კაპიტანი თორნიკე ფურტარაძე დასახელდა.

აღსანიშნავია, რომ პრიზიორები და გამორჩეული მონაწილეები სწორედ ბატონმა მანუჩარმა დააჯილდოვა, თვით სასახლო მამულიშვილს კი დარგის წამყვანი უმაღ-

როშვილი და შალვა მღვმრთიშვილი, აგრეთვე სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის პირველკურსელი, ეროვნული კატეგორიის არბიტრი მამუკა სიღამონი-

საკუთარი შესანიშნავი კურსდამთავრებულის – თბილისის დი-

ორიოდა სიტყვით

**კლასიკური ჟილოვა**  
**მომხიპო (ყირგიზეთი).** სარეიტინგო საერთაშორისო ტურნირი. საქართველოს ნაკრები – 6 მედალი. ოქრო – ლერი აბულაძე, ზოიძე. ვერცხლი – ხეცურიანი, ლომაძე. ბრინჯაო – ბოლქვაძე, დავით აბულაძე.

**კალათბურთი**  
**ბალის სერია** – ა. ნახევარფინალი. ტორტონა – ვირტუსი 82:89. სერის საბოლოო ანგარიში – 0:3. თორნიკე შენგელია – 11 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი. იგი შედეგიანობით მხოლოდ თანაკლებელ დანიელ შვეკვს ჩამორჩა – 22 ქულა. ბოლონიელები ფინალში მილანს შეხვედებიან.

**ესპანეთის ლიგა ენდოსა.** მეოთხედფინალი. უნიკახა – ტენერიფე 94:74. სერის საბოლოო ანგარიში – 2:0. კუნძულელთა მოწამლულმა ცენტრმა გიორგი შერმადინმა ამჯერად 9 ქულა მოაგროვა, მისი კლუბისთვის კი სეზონი უკვე დასრულდა.

**წყალბურთი**  
**სერგაიტი.** ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი. პრო რეკო (ტურნირის 10-გზის ჩემპიონი) – ველიამგენი 12:8, ნოვი მელგრადი – მარსელონეტა 12:10 (პანელტებით, ძირითადი დრო – 8:8). მასპინძელთა ქართველ ლეგიონერს ნიკა შუშიაშვილს არ უთამაშია. ფინალი. ნოვი მელგრადი – პრო რეკო 11:14.

# სულთმოფენობა

გზში საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ სულთმოფენობის დღესასწაული აღნიშნა. ამ დღეს არის მრავალთა ქართველთა მამათა და დედათა სხენება.

...ამდღეობის შემდეგ მოციქულები მარიათან და სხვა წმინდა დედებთან ერთად იერუსალიმში დაბრუნდნენ. აქ ისინი შეიკრიბნენ ერთ ქოხში და ერთსულოვანი ლოცვით იმყოფებოდნენ. მათ ლოცვას უერთდებოდნენ ქრისტეს მოწაფეებიც. ...ეს ის ქოხი იყო, სადაც იესო ქრისტემ საიდუმლო სწავლება აღასრულა. სიონის მთა კი ის მთა იყო, რომელმაც ახალ აღთქმაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა: „მსჯული სიონიდან გამოვა და უფლის სიტყვა – იერუსალიმიდან“.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღდგომიდან მეგრ-გასე დღეს მარიათა ღვთისმშობელი ყველა მოციქულთან ერთად სიონის ქოხში იმყოფებოდა და ნუგეშისმცემელი სულის მისაღებად ლოცვით ემზადებოდნენ... დაახლოებით დღის 3 საათზე გეციურად მოულოდნელად ძლიერი ხმაური გაისმა – ისეთი, ქარბუხისას რომ იცის... და სახლი მთლიანად აივსო... სულიწმინდა ცეცხლის ენების სახით გამოჩნდა და თითოეულ იქ მყოფში დაემკვიდრა. ეს მოხდა იესო ქრისტეს ზეცად ამდღეობის შემდეგ, კერძოდ მეთათე დღეს.

სულთმოფენობის დღესასწაული ქრისტეს ეკლესიის დაბადების დღეა! მართლაც და საოცარია მისი მაღლი ზეციური დღესასწაულისა.



გიული ლიპარტია

## ნობელიანტები ლიტერატურაში

0800 თუ არა, რომ ნობელის პრემიის დაარსების დღიდან 2022 წლის ჩათვლით, მსოფლიოს 119 ნობელიანტი ჰყავს ლიტერატურაში და პირველობას 16 ნობელიანტი საფრანგეთი ფლობს. რუსი მწერალი, ივან ბუნინი ერთადერთი ლაურეატი იყო ამ პრემიისა, რომელსაც არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ ჰქონდა – მან პრემია 1933 წელს მიიღო, როგორც ემიგრანტი, ხოლო 1980 წლის ნობელიანტი, პოლონელი ჩესლავ მილოში პრემიის მიღებისას პოლონეთისა და აშშ-ს ორმაგი მოქალაქე გახლდათ.

შესანიშნავი გამომცემელი და როგორც იტყვიან ნობელიანტთა დიდი დამფასებელი, მათ შესახებ უამრავი საინტერესო წიგნების ავტორი, ვახუშტი კუდავა, სულ ახლახანს გამომცემელ საკმაოდ სოლიდურ

და საინტერესო წიგნს (თითქმის 850 გვერდი), „ნობელის პრემიის ლაურეატები ლიტერატურაში“ (შემოქმედებითი მიჯნაფიცი 1901-2022 წ.წ.), უძღვნის... პირველ ქართველ ნობელიანტს!

„ვფიქრობ, ნობელიანტი ზედმეტი სეროლოგიით არ უნდა მოვიკიდოს ლაურეატობას. საბედნიეროდ, განვიხილავ ყველაზე მუნიციპალიტეტში მდებარე პიროვნების მოკრძალებული სიდიადე!“ – წერს 1983 წლის ნობელიანტი ლიტერატურაში, გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენელი, უილიამ გოლდინგი.

შინა ვინ არიან ნობელიანტები სინამდვილეში დაფინს გვირგვინის გარეშე? რით სუნთქავენ, რა ცხოვრებისეული გამოცდილებები მიიღეს და რისთვის დააფასა ისინი მსოფლიომ აგრეთვე, რომ რჩეული გახდნენ მილიონობით მწერალთა შორის? ვახუშტი კუდავა წლებია მუშაობს ნობელიანტთა შემოქმედებაზე, იგი პროფესიონალ შემოქმედებით ჯგუფთან ერთად მეტად საინტერესო და შრომატევად საქმიანობას ეწევა.

სულ ახლახანს გამოიყვა „ნობელიანტთა ლექსები“ (ლიტერატურა 1901-2022 წ.წ.) სუსდაც მკითხველი გაეცნობა ნობელის პრემიის მიღებისას წაკითხულ ლექსებს. მას მოყვა წინამდებარე კრებულის – „ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში“.

წიგნში სრულადაა წარმოდგენილი ნობელიანტები ლიტერატურის დარგში, მითითებულია ქვეყნები, მოტივაცია, თუ რისთვის და რა დამსახურებისთვის მიიღეს პრემია, უხვადაა ილუსტრირებული. გამოცემას თან ერთვის სახელთა ანბანური საძიებელი პრემიის მინიჭების თარიღების მიხედვით და ვრცელი ჩამონათვალი გამოყენებული ლიტერატურისა.

გამომცემი ვახუშტი კუდავა



## ქუთაისის სამხედრო ლიხეუმი 75-მა კადეტმა დაამთავრა!

ქუთაისში, გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიხეუმი კურსდამთავრებულთა მეთორმეტე გამოცდების საზეიმო დონისძიება გაიმართა. კურსდამთავრებულებს სიტყვით თავდაცვის ძალების მეთაურმა გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა მიმართა და სასწავლო პროცესის წარმატებით დასრულებამიულოცა. დონისძიება დაჯილდოების ცერემონიალით გაგრძელდა. ლიხეუმის 7 სამხედრო მოსამსახურე უწყებრივი მედლებით დაჯილდოვდა, კურსდამთავრებულებს კი, დაწყებითი სამხედრო მომზადების სერტიფიკატები და ლიხეუმის სამკურნე ნიშნები გადაეცა.

სამხედრო ლიხეუმი წელს 75-მა კადეტმა დაამთავრა, რომელთაგან 3 ოქროსა და 4 ვერცხლის მედლის კანდიდატია. 30 კურსდამთავრებული სწავლას ერთვნილი თავდაცვის აკადემიაში განაგრძობს. აღსანიშნავია, რომ აქედან 3 გოგონაა.



სამხედრო ლიხეუმი

## სანთელი

# არდაპინყაბა

## ირაკლი თავდუშაძე



40 დღე გავიდა გამოჩენილი მენავთობე-გეოლოგის, ტექნიკური პროფესიონალისა და პატრიოტის, მდიდარი ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნების, ღირსების ორდენის კავალერის ირაკლი თავდუშაძის გარდაცვალებიდან, მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო მისი სიკვდილი ვინც იცნობდა, საქმიანი თუ ცხოვრებისეული ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ი. თავდუშაძის გარდაცვალებით აუნაზღაურებელი დანაკარგი განიცადა საქართველოს ნავთობის მრეწველობამ; ამ დარგის ცოდნისა და ისტორიის დიდი თავი დაიხურა. გამორჩეული ნიჭიერებით, ღირსებით, თავმდაბლობით იგი მართლაც რომ ამშვენებდა კაცთა მოდგმას; ვაგლას რომ ზეციური საქართველოს ბინადარი გახდა კიდევ ერთი საამაყო პიროვნება.

ირაკლი პეტრეს ძე თავდუშაძე დაიბადა 1944 წ. 8 ივლისს, ოზურგეთის (მახარაძის) რაიონის სოფ. ანასეულში. აქვე, 1961 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამინდელი ტექნიკური უნივერსიტეტის) სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე, სადაც წარმატებით გაასრულა სწავლების სრული კურსი და მიენიჭა სამთო ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაცია.

ი. თავდუშაძის შრომითი საქმიანობა ძირითადად ტრესტ „საქნავთობს“ (მოგვიანებით სანარმოო გაერთიანება) უკავშირდება. აქ შეძლო მან თანდაყოლილი ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობის, ანალიტიკური აზროვნების რეალური ხაზი და ჩამოყალიბდა როგორც ნავთობის გეოლოგიის საერთაშორისო დონის სპეციალისტი. 1967-1975 წ.წ. მუშაობდა „საქნავთობის“ კოლხეთის ბურღვის კანტორაში, თავდაპირველად, რიგით გეოლოგად, შემდეგ გეოლოგიური განყოფილების უფროსად. 1975-79 წ.წ. „საქნავთობის“ გეოლოგიური განყოფილების უფროსია. 1979-83 წ.წ. მივლინებული იყო ალჟირის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ექსპერტად. 1983 წლიდან მუშაობას აგრძელებს სანარმოო გაერთიანება „საქნავთობში“: იყო აღმოსავლეთ საქართველოს ბურღვის სამმართველოს გეოლოგიური განყოფილების უფროსი, „საქნავთობის“ სალიცენზიო განყოფილების უფროსი, მთავარი გეოლოგი; 1996-2009 წ.წ. ნავთობის კომპანია „ჯიბოსის“ (მოგვიანებით „კანარგო-ჯორჯიას“) მთავარი გეოლოგია, უკანასკნელ პერიოდში – „მტკვრის აუზის ოპერატორი კომპანიის“ კონსულტანტი.

დიდმა ერთდროულად, მაღალმა პროფესიონალიზმმა, რამდენიმე დარგის ღრმა ცოდნამ, ორგანიზატორულმა უნარმა და გამორჩეულმა კაცთმოყვარეობამ დიდი ავტორიტეტი და სიყვარული მოუზღვეა ნავთობის მრეწველობის სპეციალისტთა შორის – მისი სჯეროდათ, ენდობოდნენ და აფასებდნენ. ი. თავდუშაძის მეთავეობით და უშუალო მონაწილეობით აღმოჩენილ იქნა ნავთობისა და გაზის საბადოები საქართველოსა და ალჟირში, შესაძლებელი გახდა აღმოსავლეთ საქართველოს ძველი საბადოების რეაბილიტაცია და ქვეყნის სამსახურში ჩაყენება.

ცალკე აღსანიშნავია ი. თავდუშაძის საორგანიზაციო-ადმინისტრაციული და კვლევითი საქმიანობა: წვრთნა, ენდობა და თამამად აწინაურებდა უნარ-ჩინო ახალგაზრდებს; ამასთან, იგი იყო საქართველოს და ალჟირის რესპუბლიკის ნავთობის გეოლოგიისადმი მიძღვნილი რამდენიმე ათეული პუბლიკაციის, პროექტისა და სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშის ავტორი.

ი. თავდუშაძე ფლობდა ენციკლოპედიურ ცოდნას საქართველოსა და მოსაზღვრე ტერიტორიების ნავთობის მრეწველობის, საბადოების გეოლოგიური აგებულების, საძიებო და სარეწაო გეოფიზიკის, ნავთობის ასობით ქაბურღილის გეოლოგიური-ტექნიკური მახასიათებლებისა და პოტენციალის შესახებ. ამასთანავე, არაორდინარული აზროვნებით, პრობლემების ოპერატიული გადაწყვეტის უნარით, საქმისადმი თავდადებითა და ერთგულებით იგი, მართლაც რომ „სახელმწიფო კაცი“ იყო ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

ზედგამოჭრილია მასზე ვაჟასეული „კარგ ყმად ვინა ვთქვათ, ვაჟებო, ნათქვამის არა გვრცხვენოდეს...“ – იყო ერთიანი, მონოლითური, შემართებული და ვაჟკაცური პიროვნება, სიკეთის ზღვარდაუდებელი მთესველი, საკუთარი ნაღვანის მოკრძალებული შემფასებელი, სხვისი შრომის დამფასებელი, უკომპრომისო და შეუდრეკელი მედროვეთა, ბოროტთა, ქვეყნის ქვეგამხედვართა მიმართ, ამასთანავე შესანიშნავი მეოჯახე და უღალატო მეგობარი, „ის კაცი იყო, ვით შეშენის კაცსა კაცობა“. მან მთელი შეგნებული ცხოვრება ძიებაში, შრომაში, ადამიანებზე უანგარო ზრუნვასა და სიკეთის თესვაში გაატარა, შემდეგ უეცრად, მოკვებითად მოსწყდა საწუთროს და ცივ მარადისობას შეუერთდა. ცხოვრება და საზოგადოება, უმეტეს შემთხვევაში, ირაკლი თავდუშაძის მსგავს პიროვნებს არ ანებივრებს და ძეგლებს არ უდგამს, მაგრამ მან თავისი მოღვაწეობით და კეთილი საქმიანობით სულიერი ძეგლი ააგო მათ ხსოვნაში, ვისთანაც ცხოვრობდა, თანამშრომლობდა, მეგობრობდა, უყვარდა...

ინტელექტუალის, შემოქმედის, პირნათელი და უშიში ვაჟკაცის, საზოგადოებასა და სამეგობროში გამორჩეული პიროვნების – ირაკლი თავდუშაძის ნათელი სახე მუდამ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

მეგობრები და კოლეგები



შარფების ხოლმეცია

საუკუნის პარკები ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა

საქართველოს ოსტეციის სამინისტროს ეროვნული არქივის ვებგვერდზე გასული საუკუნის 20-იან წლებში ქართულ პრესაში დაბეჭდილი ცნობილი ადამიანების შარფები ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა.

ეროვნული არქივის ინფორმაციით, პერიოდულ გამოცემებს, რომელიც საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში იბეჭდებოდა, ცნობილი მხატვრები აფორმებდნენ. მათ შორის იყვნენ: შალვა ქიქოძე, მიხეილ ჭიაურელი, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ოსკარ შერლინგი და სხვები. ილუსტრირებულ გაზეთებში ცნობილი ადამიანების ასეულობით შარფს შეხვდებით.

ეროვნული არქივის მიერ შექმნილ ონლაინკოლექციაში შესულია პოლიტიკოსების, მსახიობების, მწერლების, კომპოზიტორების შარფები პერიოდული გამოცემებიდან: „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება“ „თეატრი და ცხოვრება“, „ეშმაკის მათრახი“. კოლექცია, რომელშიც პირველ ეტაპზე 100-ზე მეტი შარფი გაერთიანდა. ამ უნიკალური მასალის ნახვა შესაძლებელია მულტმედიის საიტზე: <https://archive.gov.ge/tsnobili-adamianebis-sharzhebi-1>



რეპრესირებული მწერლის 100 წლის იუბილე

20360სს, საქართველოს მწერალთა სახელმწიფოს, პოეტისა და მწერლის, შალვა მჭედლიშვილის საიუბილეო ხსოვნის საღამო გაიმართა. მას წელს 100 წელი შეუსრულდებოდა.

ჩვენმა პოეტებმა, მწერლებმა, გაიხსენეს შალვა მჭედლიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, წაიკითხეს მისი ლექსები.

შალვა მჭედლიშვილი, 1923 წლის 21 აპრილს, სიღნაღის მაზრა სოფელ ანაგაში დაიბადა. 1945 წლის 27 მარტს 22 წლის შალვა მჭედლიშვილი, იდეოლოგიურად მიუღებელი ლექსების გამო დააპატიმრეს. როგორც ყველა პოლიტპატიმარმა, გადასახლებაში მოიხარა. დაამთავრა ყარაღანლის სამედიცინო ინსტიტუტი. ცენზურა კრძალავდა მის შემოქმედებას, დედაქალაქში ცხოვრების უფლება ჩამოართვეული ჰქონდა, იყო ზედამხედველობის ქვეშ. საქართველოს სხვადასხვა კურორტზე – შოში, ბორჯომში, გავრაში, წყალტუბოსა და ახტალაში წლებს მანძილზე მუშაობდა მკურნალ ექიმად. გამოცემული აქვს 10-ზე მეტი წიგნი, არის ავტორი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

გამი-გიგლიოთაქა

ტრამპიპლად მოკლული „მომავლის ბიჭის“ ნიკო კვარაცხელიას სახელობის გემი – მიმლიოთევა განმუხურში გაიხსენება.

ეს იქნება სოფელ განმუხურში მდგარი გემი-მიმლიოთევა, სადაც სპეციალური სამკითხველოები მოეწყობა და არის განზრახვა, რომ გემბანზე მალე საზაფხულო ლიტერატურული კაფეც გაჩნდეს. გარდა ნიკო კვარაცხელიას სახელისა, რომლის დაუეწყარი ხსენება განათლებულ მომავალთან კავშირს გულისხმობს, ეს ჩვენი აფხაზი თანამოქალაქეებისთვის ერთგვარი შესვენება იქნება იმისა, რომ ერთმანეთთან მიმავალი გზა სწორედ ცოდნაზე გადის. პროექტს საქართველოს ეროვნული მიმლიოთევა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმლიოთევის მართვის ცენტრი ახორციელებენ. მთავარი მხარდაჭერი ნიკო კვარაცხელიას სახელობის ფონდი იქნება.



მედიანიგნიერების კონკურსი დასრულდა

ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის ინიციატივითა და კომპანია „ჯორჯიან მანგანის“ მხარდაჭერით ორგანიზებული მედიანიგნიერების კონკურსი დასრულდა. მიღებული ნამუშევრების გადარჩევის შედეგად კი ჟიურიმ 5 გამარჯვებული გამოავლინა.

კონკურსში მონაწილეობა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან მიიღეს. პირველი ადგილი დაბა კაზრეთში მცხოვრებმა ნინო მოსეშვილმა დაიკავა. მე-2 ადგილი კი თბილისელმა მარიამ ბროლაძემ და წალკელმა ანა ვიგლეშაიანმა გაინაწილეს. რაც შეეხება მე-3 ადგილს, ის ჭიათურელ ანანო ხახიშვილსა და საგარეო-ელ მარიამ ჩილინგრიშვილს ხვდათ წილად.

საუკეთესო ნამუშევრების ავტორები სპეციალურად ამ პროექტისთვის შექმნილი საპრიზო ფონდით დაჯილდოვდნენ, რომელიც ჯამში 3000 ლარს შეადგენდა და შემდეგნაირად ნაწილდებოდა: პირველი ადგილი – 1 500 ლ; მეორე ადგილი – 1 000 ლ; მესამე ადგილი – 500 ლ. მედიანიგნიერების კონკურსი ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის ორგანიზებით უკვე მეორედ ჩატარდა და მასში მონაწილეობის მიღება 13-დან 18 წლამდე საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ ახალგაზრდას შეეძლო.



ციფრული ფოტომატიანე - საუკუნის პროექტი

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ მიმლიოთევისა და კომპანია Coca-Cola Bottlers Georgia-ს შორის თანამშრომლობის მეორე ეტაპი გაფორმდა. შეთანხმების მიზანია ეროვნული მიმლიოთევის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტის, „ციფრული ფოტომატიანის“ მხარდაჭერა, რომელიც მიზნად ისახავს გასული ორი საუკუნის და ამ საუკუნის დასაწყისის ვიზუალური ისტორიის შექმნას.



როგორც „Coca-Cola Bottlers Georgia“-ს დამფუძნებელი თემურ ჭყონია მედიასთან საუბრისას აცხადებს, კომპანია მზადაა, რომ ყველა იმ პროექტში, რომელიც საქართველოს ისტორიას გაცოცხლებს, აქტიურად ჩაერთონ. აღსანიშნავია, რომ „ციფრული ფოტომატიანე“ საუკეთესოდ აღწერს ეპოქების სულს. ამ პროექტის საშუალებით უამრავი ადამიანის იდენტიფიცირებას გახდა შესაძლებელი. ეროვნული მიმლიოთევა აციფრულდება ფირების ნეგატივებსაც, რომლებიც ძველ ფოტოატელებს აქვთ შემონახული.

ახლახან აღმოჩნდა ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის აქამდე უცნობი ფოტოები. უახლოეს მომავალში დაგეგმილია მიხეილ მესხის უნიკალური არქივის გაციფრულება; ასევე გურიაში დაცული ფოტოატელებს ორმოცწლიანი ისტორიის დიგიტალიზაცია. შეთანხმებულია ქუთაისის ისტორიული მუზეუმის, ზუგდიდის სახელმწიფო თეატრალური მუზეუმისა და წალენჯიხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდების გაციფრება.

„მზიურში“ კინო ბრუნდება

ივნისიდან კაფე მზიური რე-მანჯის პარტნიორობით ღია კინოჩვენებებს განაგრძობს. კინოჩვენებები მზიურში 2016 წლიდან იმართება. გასული წლის მსგავსად, წლებადღეული პროექტის მიზანი ქართული საავტორო ფილმების პოპულარიზაციაა.

კინოჩვენება თვეში 4-ჯერ გაიმართება, ყოველ ხუთშაბათს, 21:00 საათზე. პროექტის ფარგლებში ნაჩვენებია იქნება როგორც თანამედროვე ქართული კინო, ასევე კინო კლასიკა და სპეციალურად მოზარდებისთვის შენარჩული ფილმები. პერიოდულად მოეწყობა შეხვედრები ქართულ რეჟისორებთან და კინოს სფეროს წარმომადგენლებთან, რაც კინომოყვარულებს საშუალებას მისცემს მეთი გაიგონ ბოლო დროის კინო-ნამუშევრების შესახებ. კინოჩვენებების შემდეგ მაყურებლებს ექნებათ საშუალება, ჩაერთონ დისკუსიაში არამხოლოდ ნაჩვენებ ფილმის, არამედ მასთან დაკავშირებული აქტუალური თემების შესახებ. კაფე „მზიური“ ასევე სივრცეს უთმობს ადამიანებს, რომლებსაც სურთ საავტორო ფილმების ფართო აუდიტორიისთვის ჩვენება.

კინოჩვენებებზე დასწრება თავისუფალია, სივრცე კი სრულიად ადამიანურია ეტლით მოსარგებლეს პირებისთვის.

მომზადდა რუსუდან ძოგულობა

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ჭაჭაჭაქის ბაზარი №170

მთავარი რედაქტორი  
საბრტაძე ძოგულობა  
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის  
მოადგილე  
მამუკა ვაშაქიძე  
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი  
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
ბურაბა გომიავილი  
599 53-76-16;

ალექს  
ასლანიშვილი  
599 56-81-86;

გამომცემლები:

შპს 100 – ახალი  
„საქართველოს რესპუბლიკა“  
გაზეთ „საქართველოს  
რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
599 36-00-35

შპს „თანადგომა“-1-გაზეთ  
„საქართველოს რესპუბლიკის“  
გამომცემელი“  
ტ: 599 79-76-79

იკაქდავა სტამბა  
„ქოლორი“  
ქ. პაღლაშაძის №3

კოდორ ჯაჭვი

uac(უაქ)070.4(479.22)  
ს-323



ავტორთა  
საჩუქრადღებოდ!

რედაქციის მიერ  
შეუქმეთავი მასალაზე  
დაიკაქდავა  
ავტორთა ხარჯით.  
ავტორთა მოსაზრებაზე,  
შესაქლო, გუდა  
არ ემთხვეოდეს  
რედაქციის პოზიციას.  
ვპაქდავის  
სიუჟეტზე პასუხს  
აბავან ავტორები.

გაზეთის მომავალი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 8 ივნისს

Table with contact information for the newspaper, including phone numbers for various departments like advertising and circulation.

Table with contact information for the printing house, including phone numbers for different services.

Table with contact information for the publisher, including phone numbers and email addresses.